ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

IOM
UN MIGRATION

სახელმძღვანელო მიუსაფარ ბავშვებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე

პუბლიკაციის ავტორი: მარი წერეთელი

გამომცემელი: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

IOM მისია საქართველოში

თენგიზ აბულაძის ქუჩა #12, პირველი ჩიხი

0162 თბილისი, საქართველო

© 2020 წელი

„ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია პუბლიკაციის რეპროდუქცია, ინფორმაციის ამოღების რაიმე სისტემის გზით მისი შენახვა, ან ნებისმიერი ფორმით და ნებისმიერი საშუალებით, ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოასლის გადაღების, ჩაწერის ან სხვა გზით გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე გადაცემა“.

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს დაკვეთით.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია IOM და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

შინაარსი

1. შესავალი 1

2. ტრეფიკინგის დანაშაულის მარეგულირებელი საერთაშორისო ნორმები და ეროვნული კანონმდებლობა 3

3. ტრეფიკინგის დანაშაული 13

4. იდენტიფიცირების გზები, მსხვერპლთა და დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში და სერვისები 17

5. ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაცია, დამახასიათებელი ნიშნები და ინდიკატორები 21

6. ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვთან კონტაქტის დამყარება და გასაუბრება/გამოკითხვა 29

7. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები 41

8. მიუსაფარ ბავშვებთან მომუშავე მობილური ჯგუფი 47

ბიბლიოგრაფია 51

IOM
UN MIGRATION

1. შესავალი

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის სახეა, რომელიც, თავისი ხასიათით, წარმოადგენს ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევას. ტრეფიკინგი მთელ მსოფლიოში გავრცელებული მოვლენაა, რომელსაც არ გააჩნია საზღვრები. ტრეფიკინგის მსხვერპლი შეიძლება ნებისმიერი ასაკისა და სოციალური სტატუსის მქონე ადამიანი გახდეს - ქალი, მამაკაცი და ბავშვი. იცვლება ექსპლუატაციის ფორმები და ხარისხი, ისევე, როგორც გამოყენებული სტრატეგიები. როგორც დანაშაული და ადამიანის უფლებათა დარღვევა, ტრეფიკინგი, არსებითად, ფარული, მიწისქვეშა ფენომენია და ამიტომ რთულია მისი იდენტიფიცირება.

ტრეფიკინგი დინამიური პროცესია, რაც გულისხმობს, ერთის მხრივ, ქვეყნის შიგნით და, მეორე მხრივ, ქვეყნის საზღვრებს გარეთ გადაადგილებას. საზღვრის კვეთა - გადაადგილება ტრეფიკინგის დანაშაულის ერთ-ერთი ელემენტია და არააუცილებელი, ვინაიდან ადამიანის ექსპლუატაცია შესაძლებელია საზღვრის კვეთის გარეშე, ქვეყნის შიგნითაც განხორციელდეს.

ბავშვთა ტრეფიკინგი ფართო მასებისათვის ასოცირდება უფრო სექსუალურ ექსპლუატაციასთან. ფართო გაგებით, რეალობა გაცილებით მძიმეა. ბავშვთა ტრეფიკინგი ხორციელდება ოჯახში შრომითი საქმიანობის, მონობის, ყმობის, მოწყალების თხოვნის, ქუჩაში წვრილმანი ვაჭრობის, დანაშაულებრივი საქმიანობის, სექსუალური და სხვა ექსპლუატაციური მიზნებისათვის. ბავშვთა ტრეფიკინგი გვხვდება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. ამ კუთხით არ არსებობს მკაფიო განსხვავება წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყნებს შორის. ამრიგად, ქვეყნებს აქვთ პასუხისმგებლობა, მოახდინონ ტრეფიკინგის მსხვერპლთა და რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების იდენტიფიცირება, დახმარება და დაცვა.

ბავშვთა ტრეფიკინგის განსაზღვრა შეიძლება პრაქტიკაში ხსირად რთულია. შესაძლოა, გართულდეს ტრეფიკინგის მსხვერპლისა და სხვა სახის ექსპლუატაციისა ან ძალადობის მსხვერპლის გარჩევა. განსაკუთრებით მაშინ, ეს კიდევ უფრო რთულდება, როდესაც ექსპლუატაცია და ძალადობა გადაადგილების ან მიგრაციის პირობებში ვლინდება და როდესაც ბავშვის შესახებ არსებული ინფორმაცია არაა სრული. სხვადასხვა ფორმის ექსპლუატაციისა და ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა იდენტიფიკაციის ერთიანი სისტემის არარსებობის გამო, ხშირად ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვების გამოვლენა და მათთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭება, როგორც მიგრანტი ბავშვები, არაკანონიერი მიგრანტები, თავშესაფრის მაძიებლები, სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის მსხვერპლები ან არასრულწლოვანი დამნაშავეები, რომლებიც ცხოვრობენ ან/და მუშაობენ ქუჩაში, სათანადოდ ვერ ხერხდება. გაეროს ბავშვთა ფონდის 2018 წლის კვლევის თანახმად, საქართველოში ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების 25% მიგრანტია. შესაბამისად,

ამ ჯგუფებში ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვებად იდენტიფიცირების ნაკლებობა ეროვნულ სტატისტიკურ მონაცემებში ვერ ასახავს ტრეფიკინგის რეალურ მასშტაბებს.

მსოფლიო მასშტაბით ტრეფიკინგის მსხვერპლთა რიცხვი მატულობს, რაც, თავის მხრივ, ქვეყნების გადადგმული ქმედითი ნაბიჯების შედეგია მსხვერპლთა იდენტიფიცირებისა და ტრეფიკინგის დანაშაულის კრიმინალიზების კუთხით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი (UN Office on Drugs and Crime(UNODC)) 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, იდენტიფიცირებულ მსხვერპლთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, 2016 წლის მონაცემები 40%-ით აღემატება 2011 წლის მონაცემებს. ამავე ანგარიშში ნაჩვენებია, რომ მსხვერპლთა 30 % ბავშვები არიან (23% გოგონები და 7% ბიჭები), 49% - ქალები და 21% - მამაკაცები. სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი უმეტესად ქალები და გოგონები ხდებიან, ხოლო მამაკაცები, ძირითადად, იძულებით შრომაში არიან ჩაბმული. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული 2020 წლის ანგარიშის საფუძველზე, მსოფლიოში ადამიანის ტრეფიკინგის მსხვერპლთა შორის 30% ბავშვია.

მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ბავშვთა ტრეფიკინგის პრევენციას, გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებასა და რისკის ჯგუფების გამოვლენას. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ხშირად ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვებისათვის დაცვისა და რეაბილიტაციის ზომები ორიენტირებულია მოკლევადიან და არასპეციფიურ დახმარებაზე. ბავშვების სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დარღვევები ფართოდ იშვიათად განიხილება და, შესაბამისად, მრავალი ბავშვი დაუცველი რჩება.

2. ტრეფიკინგის დანაშაულის მარეგულირებელი საერთაშორისო ნორმები და ეროვნული კანონმდებლობა

ადამიანთა ვაჭრობის წინააღმდეგ არსებული საერთაშორისო სტანდარტების უმეტესობა ფოკუსირებულია ზრდასრულ მოსახლეობაზე. ტრეფიკინგთან ბრძოლისთვის არსებობს ისეთი საერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტები, როგორიცაა ევროპის საბჭოს „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის“ კონვენცია და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის ოქმი „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და სასჯელთა დადგენის შესახებ“. ბავშვთა ტრეფიკინგის საკითხებს დამატებით აწესრიგებს გაერთიანებული ერებისა და ევროსაბჭოს ეგიდით მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულებები. „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ და მისი ფაკულტატური ოქმი „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 182-ე კონვენცია „ბავშვთა შრომის ყველაზე მძიმე ფორმების აკრძალვისა და მის აღმოსაფხვრელად დაუყოვნებლივი ქმედებების გატარების შესახებ“, ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ - ლანსაროტეს კონვენცია და სხვები ავსებს ბავშვთა ტრეფიკინგისაგან დაცვის საკითხებს.

ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის ოქმი „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და სასჯელთა დადგენის შესახებ“ - პალერმოს პროტოკოლი არის პირველი იურიდიული ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო შეთანხმებას ტრეფიკინგის განსაზღვრის შესახებ. პროტოკოლი მიღებული იქნა 2000 წელს და მიზნად ისახავს:

- ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის აღკვეთას და მის წინააღმდეგ ბრძოლას;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვას და დახმარებას, მათი უფლებების პატივისცემის საფუძველზე;
- აღნიშნული მიზნების მისაღწევად მონაწილე სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას.

პროტოკოლში ტრეფიკინგის განმარტება ასეა ფორმულირებული :

„ტრეფიკინგი ნიშნავს ადამიანთა გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაცია, გულისხმობს სხვათა პროსტიტუციით ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, კატორღულ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას.

აღნიშნული განმარტება 2005 წელს აისახა ევროპის საბჭოს **„ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის“** კონვენციაში, რომელიც ძალაში შევიდა 2008 წლის 1 თებერვლიდან. აღნიშნული კონვენცია მიზნად ისახავს:

- ტრეფიკინგის პრევენციას;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვას;
- ტრეფიკინგში ჩართულ დამნაშავეთა სამართლებრივი დევნის დაწყებას;
- ხელი შეუწყოს სახელმწიფოთა მიერ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ღონისძიებების განხორციელებასა და საერთაშორისო თანამშრომლობას.

კონვენციის ერთ-ერთ უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მასში აქცენტი გაკეთებულია ადამიანის უფლებებსა და მსხვერპლთა დაცვაზე. კონვენციაში ტრეფიკინგი განსაზღვრულია, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და ადამიანის ღირსების შეურაცმყოფელი ქმედება.

კონვენციის თანახმად, ტრეფიკინგის ყველა მსხვერპლზე გავრცელებული უფლებების გარდა, ბავშვები სარგებლობენ შემდეგი, განსაკუთრებული, უფლებებით:კანონიერი წარმომადგენლის გარეშე მყოფ ბავშვებს ენიშნებათ მეურვე/მზრუნველი ან მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელი, რომელიც იქნება ბავშვთა წარმომადგენელი და იმოქმედებს მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე;

- მაქსიმალური ზომები უნდა იქნეს მიღებული ბავშვების ვინაობისა და მოქალაქეობის დადგენის მიზნით და თუ ეს მათ საუკეთესო ინტერესს წარმოადგენს, მოძიებული იქნეს ამ ბავშვების ოჯახები;
- როდესაც ბავშვის ასაკი გაურკვეველია, მაგრამ არსებობს გონივრული ეჭვი იმისა, რომ მსხვერპლი 18 წლის ასაკამდეა, იგი უნდა ჩაითვალოს ბავშვად და მიეცეს ბავშვისათვის გათვალისწინებული დაცვის ყველა საშუალება მანამდე, სანამ მისი ასაკი საბოლოოდ არ დადგინდება;
- ბავშვებს აქვთ უფლება მიუწვდებოდეთ ხელი განათლებასა და დახმარების ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც მათ საჭიროებებს ითვალისწინებს;
- ბავშვების დაბრუნებამდე აუცილებელია რისკის და უსაფრთხოების შეფასება, ხოლო დაბრუნება ხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს შეესაბამება;

- ბავშვები უზრუნველყოფილნი უნდა იქნენ განსაკუთრებული დაცვით გამოძიებისა და სასამართლო პროცესის განმავლობაში.

როგორც ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის ოქმი **„ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და სასჯელთა დადგენის შესახებ“ - პალერმოს პროტოკოლი**, ასევე ევროპის საბჭოს **„ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის“** კონვენცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბავშვთა ტრეფიკინგის საკითხებს. კერძოდ, არ აქვს მნიშვნელობა გამოყენებულია თუ არა ბავშვის მიმართ ძალადობა, დაშინება ან ნებისმიერი სხვა გარემოება, ბავშვის სამუშაოზე აყვანა, ტრანსპორტირება, გადაყვანა, თავშესაფრის მიცემა ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით, მიიჩნევა „ტრეფიკინგად“. ამდენად, არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული ქმედებისათვის ტრეფიკინგის კვალიფიკაციის მისანიჭებლად საკმარისია ქმედებისა და მიზნის არსებობა, ხოლო საშუალებას - თუ რა გზით მოხდა მისი ჩართვა, არა აქვს მნიშვნელობა.

ტრეფიკინგის მსხვერპლის, მათ შორის, ბავშვის „თანხმობა“ ექსპლუატაციაზე არარელევანტურია, ვინაიდან აღნიშნული მიღწეულია იძულებით, მუქარის, მოტყუების, უმწეო მდგომარეობის გამოყენებით ან სხვა გზით. ბავშვს არ შეუძლია თანხმობა განაცხადოს ტრეფიკინგზე. ადამიანი მსხვერპლად ჩაითვლება მაშინაც კი, თუ ექსპლუატაცია ჯერ არ განხორციელებულა, მაგრამ იგი უკვე გახდა ტრეფიკინგის ობიექტი

ადამიანი მსხვერპლად ჩაითვლება მაშინაც კი, თუ ექსპლუატაცია ჯერ არ განხორციელებულა, მაგრამ იგი უკვე გახდა იძულების ობიექტი.

„კონვენცია ბავშვის უფლებათა შესახებ“ (CRC) წარმოადგენს ბავშვის უფლებების დაცვის ყველაზე სრულყოფილი იურიდიული ძალის ინსტრუმენტს. კონვენცია უნიკალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ განიხილავს ბავშვს, როგორც საკუთარი უფლებების აქტიურ მფლობელს და მოიაზრებს მას, როგორც უფლებების მატარებელ სუბიექტს. კონვენციის თანახმად, ბავშვის მიმართ განხორციელებული ყველა ქმედებისას უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს მის საუკეთესო ინტერესს.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება უნიკალური საქმიანობაა, რომელიც უნდა განხორციელდეს თითოეულ ინდივიდუალურ საქმეში თითოეული ბავშვის, ბავშვთა ჯგუფის ან ზოგადად ბავშვების მდგომარეობის და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. ეს გარემოებები შეეხება შესაბამისი ბავშვის ან ბავშვების ინდივიდუალურ მახასიათებლებს, როგორიცაა ასაკი, სქესი, სიმწიფის ხარისხი, გამოცდილება, უმცირესობათა ჯგუფისადმი კუთვნილება, ფიზიკური, სენსორული ან ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის ქონა, ასევე სოციალური და კულტურული კონტექსტი, რომელშიც ბავშვი ან ბავშვები აღმოჩნდებიან. მნიშვნელოვანია ყურადღების მიქცევა ისეთ გარემოებებზე, როგორიცაა მშობლების არსებობა ან არ არსებობა, ცხოვრობს თუ არა ბავშვი მათთან, ბავშვის ურთიერთობების ხარისხი თავის ოჯახთან ან მზრუნველებთან, გარემო უსაფრთხოების თვალსაზრისით, ოჯახისათვის ხელმისაწვდომი ხარისხიანი ალტერნატიული საშუალებების არსებობა, ნათესავები, მზრუნველები და სხვ. იმის განსაზღვრა, თუ რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესები, უნდა დაიწყოს იმ კონკრეტული გარემოებების შეფასებით,

რომლებიც ბავშვს უნიკალურს ხდის. ეს გულისხმობს იმას, რომ ზოგიერთი ელემენტი გამოყენებული იქნება, ზოგი კი - არა. ამასთან, ეს ზეგავლენას მოახდენს იმაზე, თუ როგორი პრიორიტეტი მიენიჭებათ მათ ერთმანეთთან მიმართებით.

ბავშვის საუკეთესო ინტერესის ცნების მიზანია, უზრუნველყოს როგორც კონვენციით აღიარებული ყველა უფლებით სრული და ეფექტიანი სარგებლობა, ისე ბავშვის ყოვლისმომცველი განვითარება, რაც მოიაზრებს ფიზიკურ, ფსიქიკურ, სულიერ, მორალურ ფსიქოლოგიურ და სოციალურ განვითარებას. აღნიშნული კი ხაზს უსვამს უფლებაზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვას, რომელშიც ჩაერთვება ყველა მხარე.

ბავშვის უფლება, რომ მოუსმინონ და სერიოზულად განიხილონ - კონვენციის ერთ–ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას წარმოადგენს და ერთ-ერთია იმ ოთხი ზოგადი პრინციპიდან, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ ეს მუხლი არა მხოლოდ ადგენს უფლებას, არამედ განხილული უნდა იქნეს ყველა სხვა უფლების განმარტების და აღსრულებისას. მნიშვნელოვანი წარმატებაა მიღწეული 1989 წელს მიღებული კონვენციის მე–12 მუხლის აღსრულების მხარდასაჭერად კანონმდებლობის, პოლიტიკის და მეთოდოლოგიის განვითარების კუთხით ადგილობრივ, ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ დონეზე. ბოლო პერიოდის განმავლობაში შეძენილი ფართო გამოცდილება განმარტებულია, როგორც „მონაწილეობა“, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინი მე–12 მუხლის ტექსტში არ არის ნახსენები. ტერმინი განვითარდა და გამოიყენება იმისთვის, რომ აღწეროს მიმდინარე პროცესი, რომელიც მოიცავს ინფორმაციის გაზიარებას და დიალოგს ბავშვებსა და უფროსებს შორის ორმხრივი პატივისცემის საფუძველზე.

კონვენციის მე-11 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს, მიმართონ ზომებს ბავშვების უკანონო გადაადგილებისა და საზღვარგარეთიდან შინ არ დაბრუნების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

კონვენციის 32-ე მუხლი ხაზს უსვამს „ბავშვის უფლებას, დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისაგან და ნებისმიერი ისეთი სამუშაოსგან, რომელიც შეიძლება საშიში იყოს მისი ჯანმრთელობისათვის ან დაბრკოლებას უქმნიდეს მას განათლების მიღებაში, ანდა ზიანს აყენებდეს მის ჯანმრთელობას და ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ განვითარებას.“

კონვენციის 35-ე და 36-ე მუხლები ხაზს უსვამს სახელმწიფოების ვალდებულებას, უზრუნველყონ ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც აღკვეთენ ბავშვების მოტაცებას და ბავშვებით ვაჭრობას, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ასევე, დაიცვან ბავშვი ყველა სხვა ფორმის ექსპლუატაციისაგან, რომელიც ზიანს აყენებს ბავშვის კეთილდღეობის ნებისმიერ ასპექტს.

ბავშვის უფლებათა კონვენციის 34-ე მუხლი ეთმობა ბავშვის ყველა ფორმის სექსუალური ექსპლუატაციისაგან და სექსუალური ცდუნებისაგან დაცვას, თუმცა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2000 წლის 25 მაისს შემუშავდა და 2002 წლის 18 იანვარს ძალაში შევიდა „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“ ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი. აღნიშნული მექანიზმი ავსებს კონვენციას, ახდენს რა ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და პედოპორნოგრაფიის, მათ შორის, ამგვარი აქტების ჩადენის მცდელობის, მათ ჩადენაში თანამზრახველობისა და მონაწილეობის კრიმინალიზაციას.

- ბავშვებით ვაჭრობა ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას ან გარიგებას, რომლის შედეგადაც ბავშვი გადაეცემა ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ სხვა პირს ან პირთა ჯგუფს ფულადი ან სხვა ანაზღაურების ფასად;
- ბავშვთა პროსტიტუცია ნიშნავს ბავშვის გამოყენებას სექსუალური ხასიათის ქმედებებში ფულადი ან სხვა სახის ანაზღაურების ფასად;
- ბავშვთა პორნოგრაფია ნიშნავს სხვადასხვა საშუალებებით იმ ბავშვის ნებისმიერ გამოსახვას, რომელიც ასრულებს რეალურ ან მოდელირებულ აშკარა სექსუალურ ქმედებებს, ან ბავშვის სასქესო ორგანოების გამოსახვას ძირითად სექსუალური მიზნებისათვის.“

⚠

მოცემულ კონტექსტში საფრთხის შემცველია და ბავშვთა ტრეფიკინგის ერთ-ერთ სახედ შეიძლება განიხილოს ბავშვის გაშვილება. ეს პროცესი საქართველოში 2005 წელს დაწყებული ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმის ფარგლებში დარეგულირდა, ერთი მხრივ, „მინდობით აღზრდისა და შვილად აყვანის შესახებ“ (2010–2016წწ.) მიღებული კანონით, მეორე მხრივ, მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს შექმნით, რომელიც პასუხისმგებელია შვილად აყვანის საკითხებში.

1919 წელს დაარსდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და მის მიერ მიღებული იქნა 180 კონვენცია, რომელთაგან აღსანიშნავია 1973 წელს მიღებული 138-ე კონვენცია „სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ“ და 1999 წლის 1 ივნისს მიღებული 182-ე კონვენცია „ბავშვთა შრომის ყველაზე მძიმე ფორმების აკრძალვისა და მის აღმოსაფხვრელად დაუყოვნებლივი ქმედებების გატარების შესახებ“ .

„სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ“ კონვენციის მიზანია ბავშვთა შრომის ეფექტური გაუქმების უზრუნველყოფა და სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის გაზრდა. კონვენცია მინიმუალურ ასაკად ადგენს 15 წელს, რომლის ქვემოთ ბავშვის დასაქმება დაუშვებელია. მინიმალური ასაკი დადგინდა სავალდებულო საბაზისო განათლების ასაკთან მიმართებაში.

„ბავშვთა შრომის ყველაზე მძიმე ფორმების აკრძალვისა და მის აღმოსაფხვრელად დაუყოვნებლივი ქმედებების გატარების შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ბავშვის შრომის უკიდურესი ფორმები გამოიხატება:

- მონობის ან მონობის მსგავსი ყველა ფორმით, მაგალითად, ბავშვების გაყიდვა და ბავშვებით ვაჭრობა, სავალო კაბალა და ბატონყმური დამოკიდებულება, აგრეთვე, იძულებითი ან სავალდებულო შრომა, მათ შორის, ბავშვების იძულებითი ან სავალდებულო დაქირავება შეიარაღებულ კონფლიქტებში მათი გამოყენების მიზნით;
- ბავშვის გამოყენებით, შეთავაზებით ან პროსტიტუციაში დაქირავებით, პორნოგრაფიული პროდუქციის შექმნისთვის ან პორნოგრაფიული წარმოდგენისთვის;
- სამართალსაწინააღმდეგო საქმიანობისთვის ბავშვის გამოყენებით, დაქირავებით ან შეთავაზებით. კერძოდ, ნარკოტიკების წარმოებისა და გაყიდვისთვის, როგორც ეს განსაზღვრულია შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებში;
- სამუშაოთი, რომელმაც თავისი ხასიათით ან პირობებით, რომელშიც ის სრულდება, შეიძლება ზიანი მოუტანოს ბავშვების ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას ან ზნეობას.

საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან, ხოლო 16 წლამდე მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას.

საქართველოს შრომის კოდექსი კრძალავს არასრულწლოვანთან შრომითი კონტრაქტის გაფორმებას, თუკი ეს კონტრაქტი გულისხმობს მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოს შესრულებას. გარდა ამისა, კანონმდებლობით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (2007 წლის 3 მაისის N147/ნ) ბრძანების საფუძველზე, განისაზღვრა "მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალი" და "შრომის პირობების ჰიგიენური კლასიფიკაცია საწარმოო გარემოს ფაქტორების, შრომის პროცესების მავნეობისა და საშიშროების მიხედვით". კონვენციის მე-7 მუხლისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, იკრძალება მოზარდთა ღამის საათებში მუშაობა (22:00 საათიდან 06:00 საათამდე).

ევროპის საბჭოს კონვენცია **„სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ"** - ლანსაროტეს კონვენცია მიღებულ იქნა 2007 წელს ესპანეთში. იგი ძალაში შევიდა 2010 წელს და მას ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ქვეყანამ მოაწერა ხელი. ლანსაროტეს კონვენცია არის მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი ბავშვზე განხორციელებული სექსუალური დანაშაულის თავიდან აცილების, დამნაშავეთა სასამართლო წესით დევნის და ბავშვი მსხვერპლების დაცვის მიმართულებით.

კონვენცია არის პირველი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც მოითხოვს ბავშვის სექსუალური მიზნებით მოსყიდვის კრიმინალიზაციას (grooming-სექსუალურ ურთიერთობებზე დაყოლიება). მსგავსი სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევები, განსაკუთრებით ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ხელშეწყობით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში სწრაფად გაიზარდა და შესაბამისად, ლანსაროტეს კონვენცია სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს და ავალდებულებს მათ დაიცვან ბავშვები ამ ფორმის სექსუალური ძალადობისგან და უზრუნველყონ დამნაშავეების სისხლის სამართლებრივი დევნა. ითვალისწინებს რა, რომ ბავშვთა მიმართ სექსუალური დანაშაულები ხშირად ტრანსნაციონალური ხასიათისაა, ლანსაროტეს კონვენცია ადგენს "ექსტრატერიტორიულობის პრინციპს", რაც ნიშნავს, რომ გარკვეული დანაშაულების შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოს მიერ მოქალაქეების ან რეზიდენტების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება განხორციელდეს მაშინაც კი, როდესაც ეს ქმედება საზღვარგარეთ არის ჩადენილი.

ლანსაროტეს კონვენცია სახელმწიფოებისგან მოითხოვს კომპლექსურ რეაგირებას ბავშვთა მიმართ სექსუალური ხასიათის ძალადობაზე „4 P-ს მიდგომის" მეშვეობით, რაც გულისხმობს შემდეგს: პრევენცია (Prevention), დაცვა (Protection), სისხლისსამართლებრივი დევნა (Prosecution) და ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა (Partnership).

საქართველოს კანონმდებლობა სრულად ასახავს საერთაშორისო მოთხოვნებსა და ვალდებულებებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ადამიანით ვაჭრობა 2003 წლიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას წარმოადგენს.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში გარდამტეხი მოვლენა იყო საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა 2006 წლის 16 ივნისს. ამავე წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და ახლებურად ჩამოყალიბდა კოდექსის 143^1,143^2 და 143^3 მუხლები. 2014 წლის 29 მაისს დაიხვეწა ტერმინი „ექსპლუატაცია“ და შესაბამისობაში მოვიდა ტრეფიკინგის თანამედროვე გამოწვევებთან.

„ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ტრეფიკინგის განმარტება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაშია, განსაზღვრულია სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები, მსხვერპლთა და დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია, ასახულია სახელმწიფოს პოლიტიკა ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში და ეფუძნება „4 P“ პრინციპს, რაც გულისხმობს :

- ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციას;
- დანაშაულის გამოძიებას და სისხლისსამართლებრივ დევნას;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვას;
- თანამშრომლობას, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე პარტნიორ სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

2012 წლის აპრილში, ბავშვის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნების (CRC/C/GEO/CO/3) 68-ეპარაგრაფზე დაყრდნობით, ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) რეკომენდაციების შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა “ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” 2006 წლის კანონში და დაამატა ახალი თავი ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ბავშვთა მსხვერპლთა შესახებ, რომელიც შეიცავს ინდივიდუალური რისკების შეფასებას ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში, საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვებს და, აგრეთვე, იმ ბავშვებს, რომლებიც ახლდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლ მშობლებს, აქვთ კანონით მინიჭებული უფლებები და, აუცილებლობის შემთხვევაში, იღებენ საცხოვრებელს, ასაკის შესაფერის განათლებასა და ბავშვის საჭიროებების შესაბამის დახმარებას. ამ ცვლილების წყალობით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქართული კანონმდებლობა სრულად არეგულირებს ბავშვთა ტრეფიკინგის საკითხებს.

სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 მუხლის თანახმად, იკრძალება -ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა ან გადამალვა ექსპლუატაციის მიზნით. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის 143^2 მუხლით იკრძალება არასრულწლოვნის ტრეფიკინგი - მისი ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ან/და მიღება ექსპლუატაციის მიზნით. ასეთი ქმედების ჩადენისთვის კანონი სასჯელის სახით, 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. იმავე ქმედებების დამამძიმებელ გარემოში ჩადენის შემთხვევაში სასჯელის ვადა 17 წლამდე იზრდება; ხოლო ქმედება, რამაც გამოიწვია არასრულწლოვნის სიცოცხლის მოსპობა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 17-დან 20 წლამდე.

დამატებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულად აცხადებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა მომსახურებით სარგებლობას (მუხლი 143[3]), რომლისთვისაც სასჯელის სახედ გათვალისწინებულია სამიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას, სასჯელი შეიძლება გაიზარდოს 15 წლამდე. კანონმდებლობა, ასევე, ითვალისწინებს მსხვერპლის, დაზარალებულის მომსახურებით მოსარგებლე პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას იმ შემთხვევაში, თუ მან ამის თაობაზე ინფორმაცია გამოძიების დაწყებამდე წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით, ნებაყოფლობით მიაწოდა საგამოძიებო ორგანოებს, ხელი შეუწყო გამოძიების წარმართვას და მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

გვსურს ყურადღება გავამახვილოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ისეთ დანაშაულებზე, როგორიცაა: არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (მუხლი 171), პროსტიტუციის ხელშეწყობა (მუხლი 254) და პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება (მუხლი 255). მიუხედავად, ერთი შეხედვით შედეგის მსგავსებისა ტრეფიკინგის დანაშულის შედეგთან, მნიშვნელოვანია, განვასხვავოთ და გავმიჯნოთ, რომ ტრეფიკინგის შემთხვევაში, მიზანი არის ექსპლუატაცია და ამ მიზნის მისაღწევად განხორციელებული ქმედება.

ასევე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ,

> თუ რა სხვაობაა ადამიანით ვაჭრობასა და ადამიანის საზღვარზე უკანონო გადაყვანას (მუხლი 344[1]) შორის. უკანონო გადაყვანა გულისხმობს ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, პირის უკანონო შესვლის ხელშეწყობას იმ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეს ან მუდმივ ბინადარს ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს. განსხვავებით ადამიანით ვაჭრობისგან, რომელსაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ნებისმიერ სიტუაციაში - მნიშვნელობა არ აქვს მსხვერპლს გადაიყვანენ სხვა სახელმწიფოში თუ მხოლოდ ერთი ადგილიდან მეორეში, ქვეყნის ფარგლებს შიგნით, ადამიანის საზღვარზე უკანონო გადაყვანა აუცილებლად გულისხმობს სახელმწიფოს საზღვრის კვეთას.

ადამიანის უკანონო გადაყვანის დროს, პიროვნების დანიშნულების ადგილამდე მიღწევისთანავე, როგორც წესი, მისი საქმიანი ურთიერთობა შუამავალთან სრულდება, ხოლო ტრეფიკინგის შემთხვევაში, როდესაც მსხვერპლი მიაღწევს საბოლოო დანიშნულების ადგილს, ის ხდება შემდგომი ექსპლუატაციის ობიექტი. ამასთან, საზღვარზე უკანონო გადამყვანი ცდილობს, ხელი შეუწყოს სხვა პირს საზღვრის არაკანონიერ გადაკვეთაში ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მოპოვების მიზნით. ადამიანით მოვაჭრე ცდილობს, გაუწიოს პიროვნებას ექსპლუატაცია და მიიღოს ფინანსური ან სხვა სახის სარგებელი ამ პიროვნების გამოყენებით.

3. ტრეფიკინგის დანაშაული

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) შემდეგი სამი ელემენტისაგან შედგება: ქმედება, საშუალება და მიზანი.

ქმედება გულისხმობს:

- ადამიანის ყიდვას ან გაყიდვას, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას;
- ადამიანის გადაბირებას;
- გადაყვანას;
- გადამალვას;
- დაქირავებას;
- ტრანსპორტირებას;
- გადაცემას;
- შეფარებას;
- მიღებას.

საშუალება შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:

- მუქარა;
- ძალადობა ან იძულების სხვა ფორმა;
- მოტაცება;
- შანტაჟი;
- თაღლითობა;
- მოტყუება;
- უმწეო მდგომარეობის გამოყენება;
- ძალაუფლების ბოროტად გამოყენება.

მიზანი - ექსპლუატაცია.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის ყიდვა, გაყიდვა ან სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, თავის მხრივ, უკვე დასრულებული დანაშაულია და არ საჭიროებს ექსპლუატაციის მიზნის არსებობას. ამასთან, არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული ქმედებისათვის ტრეფიკინგის კვალიფიკაციის მისანიჭებლად საკმარისია მხოლოდ ქმედებისა და მიზნის არსებობა, საშუალების გარეშე.

ექსპლუატაცია, თავის მხრივ, წარმოადგენს სარგებლის მიღების მიზნით (იგულისხმება, როგორც მატერიალური, ისე სხვა სახის სარგებელი) ადამიანის გამოყენებას და გამოხატულია სხვადასხვა ქმედებით. პირის ექსპლუატაციის დასადგენად საკმარისია არსებობდეს შემდეგი გარემოებებიდან თუნდაც ერთი:

- შრომის ან მომსახურების იძულებით გაწევა;
- დანაშაულებრივ საქმიანობაში, პროსტიტუციაში, პორნოგრაფიაში ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმა;
- სექსუალური მომსახურების იძულებით გაწევა;
- სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის იძულებით ანდა მოტყუებით ამოღება, გადანერგვა ან სხვაგვარი გამოყენება;
- მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება, რაც, თავის მხრივ, მოიაზრებს ისეთ მდგომარეობას, როდესაც პირი ანაზღაურებით, ან არაადეკვატური ანაზღაურებით, ან მის გარეშე სხვა პირის სასარგებლოდ ასრულებს სამუშაოს ან ეწევა სხვა სახის მომსახურებას და მას არ შეუძლია ამ გარემოების შეცვლა ამ პირზე დამოკიდებულების გამო.

„ტრეფიკიორზე“ დამოკიდებულება შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა გარემოებით, მაგალითად:

- პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ჩამორთმევით, გაკონტროლებით ან განზრახ ხელყოფით. ჩამორთმევა გულისხმობს საიდენტიფიკაციო დოკუმენტის პირის მფლობელობიდან გასვლას. გაკონტროლების დროს პირი ფლობს საიდენტიფიკაციო დოკუმენტს, მაგრამ შეზღუდულია მის გამოყენებაში (სხვისი ზედამხედველობის ან თანხმობის გარეშე ვერ იყენებს). საიდენტიფიკაციო დოკუმენტის განზრახ ხელყოფის დროს პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტი განადგურებულია ან დაზიანების შედეგად არის გამოყენებისთვის გამოუსადეგარი;
- თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვით ან/და კონტროლით. თავისუფლად გადაადგილების უფლების შეზღუდვა გულისხმობს, როდესაც მსხვერპლს „ტრეფიკიორის“ მიერ ეკრძალება გარკვეულ დროს ან/და ადგილზე გადაადგილება. გადაადგილების უფლების კონტროლის შემთხვევაში, პირს შეუძლია ნებისმიერ დროს და ადგილზე გადაადგილება, თუმცა სხვისი თანდასწრებით ან ზედამხედველობით;
- ოჯახის წევრთან ან სხვა პირთან კომუნიკაციის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტის შეზღუდვით ან/და კონტროლით. კონტაქტის შეზღუდვა გულისხმობს გარკვეულ დროს, თემაზე ან პირებთან კომუნიკაციის აკრძალვას. კონტროლის დროს

კომუნიკაცია ხორციელდება „ტრეფიკიორის“ მეთვალყურეობის ქვეშ;

- იძულებითი ან დამაშინებელი გარემოს შექმნით. დამაშინებელი გარემოს დროს პირი უშუალოდ არ განიცდის იძულებას, თუმცა შექმნილი გარემო მას მიანიშნებს გარკვეულ საფრთხეზე, რის გამოც მას უჩნდება შიში;

- სხვა გარემოებით. მაგალითად, პირზე დამოკიდებულების სხვა გარემოება შეიძლება არსებობდეს, როდესაც პირს „ტრეფიკიორის“ მიერ ეზღუდება საკუთარი ფულის (შემოსავლის) განკარგვის შესაძლებლობა, სახელმწიფოში მისი არაკანონიერად ყოფნა გამოყენებულია მასზე ზეგავლენის მოსახდენად, სავალო კაბალის დადებისას ან სხვა შემთხვევაში;

- სავალო კაბალა - შეიძლება იყოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც არარსებული ან/და არაადეკვატური ვალის ლიკვიდაციის მიზნით პირი ასრულებს „ტრეფიკიორის“ მიერ განსაზღვრულ მომსახურებას/სამუშაოს, რომლის სანაცვლოდაც მიღებული ანაზღაურება ან/და ვალის პირობები არ იძლევა ამ ვალის დაფარვის შესაძლებლობას.

საქართველოს კანონმდებლობა არ მოითხოვს ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების კუმულაციურ არსებობას (ერთ-ერთის არსებობაც საკმარისია), რათა დადგინდეს პირზე დამოკიდებულება.

ბავშვთა ტრეფიკინგის და ექსპლუატაციის ფორმებიდან აღსანიშნავია:

- ბავშვის გამოყენება (ბავშვის შეძენა ან შეთავაზება) უკანონო ან დანაშაულებრივი ქმედებებისთვის;

- ბავშვების ჩართვა მათი ნების საწინააღმდეგოდ სამუშაოში, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს მათ ჯანმრთელობას ან შეუქმნას საფრთხე მათ სიცოცხლეს;

- ბავშვის, რომელსაც არ მიუღწევია შესაბამისი მინიმალური სამუშაო ასაკისთვის, დასაქმება ან გამოყენება;

- სამუშაო გარემოს ან დავალებების ტიპი, როდესაც გაუგებარია ვისთვის მუშაობს ბავშვი და ვინ იღებს მის ხელფასს;

- მონობა;

- ბავშვთა პროსტიტუცია და ბავშვთა პორნოგრაფია;

- მოწყალების თხოვნა და ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა - ბავშვების დაქირავება ქუჩაში საქონლის გასაყიდად ან მოწყალების თხოვნის მიზნით;

- ორგანოებით ვაჭრობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პალერმოს პროტოკოლში. მიუხედავად იმისა, რომ ამ საზარელი პრაქტიკის მონიტორინგი ან გამოვლენა თითქმის შეუძლებელია, ამის შესახებ შეტყობინება ხშირია მსოფლიოს მაშტაბით.

4. იდენტიფიცირების გზები, მსხვერპლთა და დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში და სერვისები

საქართველოს კანონმდებლობით შესაძლებელია ტრეფიკინგის მსხვერპლისა და დაზარალებულის იდენტიფიკაცია. განსხვავდება ეს ორი ტერმინი მხოლოდ სტატუსის მინიჭების სამართლებრივი გზებით, მაშინ როცა დაცვის, რეაბილიტაციისა და სერვისების ხელმისაწვდომობა ორივე შემთხვევაში იდენტურია.

კანონი განსაზღვრავს იდენტიფიცირების ძირითად დებულებას, ხოლო უფრო დეტალურად იდენტიფიცირების პროცედურა გაწერილია ,,ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტებისა და წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 11.04.2014 წლის N284 დადგენილებით.

მსხვერპლი

არის პირი, რომელსაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი და რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ მიჩნეულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად;

დაზარალებული

არის პირი, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 ან/და 143^2 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში ცნობილია დაზარალებულად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მარტივად რომ ვთქვათ, მსხვერპლის იდენტიფიკაცია და მისთვის სტატუსის მინიჭება ხდება მსხვერპლთა იდენტიფიცირების მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ, ხოლო დაზარალებულის სტატუსის მინიჭება პროკურორის მიერ, მაშინ, როდესაც პირი თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან და დაწყებულია გამოძიება ტრეფიკინგის ფაქტზე.

იმისათვის, რომ უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსი მიენიჭოს ადამიანს, საჭიროა სავარაუდო მსხვერპლის გამოვლენის ან თვითიდენტიფიცირების შემთხვევაში, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა

დახმარების სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სპეციალური მობილური ჯგუფის გაგზავნა, რომლის მიერ სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრებისას ივსება კონფიდენციალური საიდენტიფიკაციო კითხვარი.

მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, რომ სააგენტოში ფუნქციონირებს ორი ტიპის მობილური ჯგუფი: ერთი, რომელიც მუშაობს ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლებთან, ხოლო მეორე - მიუსაფარ ბავშვებთან.

სპეციალური მობილური ჯგუფი ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლის იდენტიფიცირებისთვის იყენებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის საიდენტიფიკაციო კითხვარს, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ივსება თარჯიმნის მეშვეობით.

სავარაუდო მსხვერპლის მიერ იდენტიფიცირების კითხვარის შევსების შემდეგ, შევსებული კითხვარი დაუყოვნებლივ წარედგინება მუდმივმოქმედ ჯგუფს.

სავარაუდო მსხვერპლის საიდენტიფიკაციო კითხვარის მიწოდებიდან 48 საათის განმავლობაში, მუდმივმოქმედი ჯგუფი შეისწავლის კითხვარში მოცემულ ინფორმაციას, განიხილავს სავარაუდო მსხვერპლისათვის სტატუსის მინიჭების საკითხს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. სავარაუდო მსხვერპლის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია მუდმივმოქმედი ჯგუფის გასაუბრება მასთან.

მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ სავარაუდო მსხვერპლისათვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მუდმივმოქმედი ჯგუფი ინფორმაციას აწვდის სააგენტოს.

მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ან უცხოეთის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მინიჭებული მსხვერპლის სტატუსის მქონე პირისათვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭება ავტომატურად არ ხდება. უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოში მსხვერპლის სტატუსი მიენიჭება, თუ მის მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედება დაიწყო, გაგრძელდა ან დამთავრდა საქართველოში. მუდმივმოქმედი ჯგუფი ასეთ შემთხვევას განიხილავს სხვა შემთხვევების მსგავსად, დადგენილი წესის მიხედვით.

უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ან უცხოეთის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მინიჭებული მსხვერპლის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეს თავშესაფრით, კომპენსაციით, სამედიცინო დახმარებით და სხვა პროგრამებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შემდეგ.

მსხვერპლი და დაზარალებული პირები გათავისუფლებულ იარიან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან ნებისმიერი დანაშაულისთვის, მათ შორის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის (სსკ 344-ე მუხლი), ასევე პირადობის დამადასტურებელი საბუთების გაყალბებისათვის (სსკ 362-ე მუხლი), რომელიც მსხვერპლმა, დაზარალებულმა ჩაიდინა მსხვერპლად, დაზარალებულად ყოფნის პერიოდში. ისინი, ასევე, თავისუფლდებიან ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისაგან, როგორიცაა პროსტიტუცია და ქვეყანაში რეგისტრაციის წესის დარღვევით ცხოვრება (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 185-ე და 172^3 მუხლები).

საერთაშორისო სტანდართებთან შესაბამისობით, საქართველოს კანონმდებლობა ტრეფიკინგის მსხვერპლს აძლევს მოსაფიქრებელ ვადას - 30 დღეს, რათა მიიღოს გადაწყვეტილება სამართალდამცავებთან თანამშრომლობის თაობაზე დანაშაულზე სისხლის სამართლებრივი პროცესის განხორციელებისას. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მსხვერპლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, მას არ უუქმდება არც სტატუსი და არც სხვა გარანტიები.

მსხვერპლის რეინტეგრაციასა და რეაბილიტაციაზე საუბრისას, უმნიშვნელოვანესია მისი უსაფრთხო თავშესაფრით უზრუნველყოფა, ხოლო, თუკი მსხვერპლი უცხო ქვეყნის მოქალაქეა, მისთვის ქვეყნის ტერიტორიაზე ლეგალური ყოფნის უფლების მიცემა.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის, მათ შორის არასრულწლოვნებისთვის, რომლებიც არიან თანმხლებ პირთან ერთად, ან არიან მინიმუმ 15 წლის, თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს სააგენტო, სადაც შეუძლიათ ისარგებლონ შემდეგი სახის მომსახურებით:

- დროებითი სადღეღამისო საცხოვრისი (თავშესაფარში ან თბილისის კრიზისულ ცენტრში);
- ფსიქოლოგიურ–სოციალური დახმარება/რეაბილიტაცია;
- სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღება;
- სამართლებრივი დახმარება (მათ შორის, სამართლებრიცი კონსულტაცია, სასამართლო და სამართალდამცავ ორგანოებში წარმომადგენლობა);
- თარჯიმნის მომსახურება, საჭიროების შემთხვევაში;
- ცხელი ხაზი 116 006.

ტრეფიკინგის მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსის არსებობის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაიცემა ერთჯერადი სახელმწიფო კომპენსაცია 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

გარდა მსხვერპლისა და დაზარალებულის ფორმალური სტატუსებისა, სააგენტოს ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრებს აქვთ უფლება მოსილება, პირს მიანიჭონ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო მსხვერპლის სტატუსი, თუ პირს მიაჩნია, რომ ის არის მსხვერპლი და მიმართა კრიზისულ ცენტრს. სავარაუდო მსხვერპლის სტატუსი მნიშვნელოვანია კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობისათვის.

სერვისების კუთხით მნიშვნელოვანია „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამით“ გათვალისწინებული მიუსაფარ ბავშვთა მომსახურება, როგორიცაა: მობილური ჯგუფი, დღის ცენტრი და თავშესაფარი, სადაც შესაძლებელია ტრეფიკინგის მსხვერპლმა არასრულწლოვანმა მიიღოს მომსახურება, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს მსხვერპლი/დაზარალებული არასრულწლოვანის განთავსებას სახელმწიფო ზრუნვის სხვა ისეთ მომსახურებაში, როგორიცაა მინდობით აღზრდა. მიუსაფარ ბავშვთა ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართათვის განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამას ,,ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა“, რომელიც მორგებულია მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე.

2020 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში შექმნილმა არასრუწლოვანთა რეფერირების ცენტრმა, რომელიც მუშაობს, ერთი მხრივ, ბავშვებთან, რომლებიც სისხლისსამართლებრივ ასაკს (14 წელი) არ არიან მიღწეული და სჩადიან დანაშაულს და ასევე, მეორე მხრივ, ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულ ბავშვებთან (მათ შორის მათხოვრობაში ჩართულ ბავშვებთან).

5. ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაცია, დამახასიათებელი ნიშნები და ინდიკატორები

ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაცია საკმაოდ რთულია, რადგან ძირითად შემთხვევებში ტრეფიკიორები მალავენ მსხვერპლებს და მჭიდროდ აკონტროლებენ მათ კონტაქტს გარე სამყაროსთან. თუმცა, არსებობს გარკვეული ინდიკატორები, რომელთა ცოდნაც გვეხმარება მათ ამოცნობაში.

მსხვერპლი, ხშირ შემთხვევაში, უცხო თვალისთვის შეუმჩნეველ ადგილზე არის მოთავსებული, მაგ. ჩაკეტილ კარს მიღმა, სამშენებლო ობიექტებში, რესტორნებში, სასტუმროებში და ა.შ. ტრეფიკიორების მხრიდან იძულების, ფიზიკური ძალადობის და მსხვერპლის ოჯახის წევრებისთვის ზიანის მიყენების საფრთხე იმდენად ძლიერია, რომ მაშინაც კი, თუ მოხდა მსხვერპლთან დაკავშირება, შეიძლება მას შეეშინდეს და უარი თქვას დახმარების მიღებაზე. მსგავსი შემთხვევების იდენტიფიცირებისთვის მნიშვნელოვანია, როგორც ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ინდიკატორების, ისე დამატებით დასასმელი კითხვების ცოდნა, რათა მოხდეს მსხვერპლის ამოცნობა და შესაბამისი გადამისამართება.

ტრეფიკინგის ინდიკატორები

მიუხედავად იმისა, რომ ინდიკატორების სია არ არის ამომწურავი, ისინი წარმოადგენს მნიშვნელოვან სიგნალს, რომლითაც შესაძლებელია იდენტიფიცირება, რასაც უნდა მოჰყვეს ტრეფიკინგის პოტენციური მსხვერპლის შესახებ განაცხადის გაკეთებაც.

ძირითადი ინდიკატორებია

- დამსაქმებელთან ცხოვრება;
- ცუდი საცხოვრებელი პირობები;
- მრავალრიცხოვანი ადამიანის მჭიდრო სივრცეში ყოფნა;
- ინდივიდთან მარტო საუბრის შესაძლებლობის არარსებობა;
- კითხვებზე პასუხები გაცემულია სცენარის მიხედვით;
- დამსაქმებელს აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ფიზიკური ძალადობის ნიშნები;
- მორჩილი ან შიშით საუბარი;
- სამუშაოს ანაზღაურება არ ხდება ან ძალიან დაბალია.

კითხვები, რომლებიც უნდა დაისვას:

თუ არის პოტენციურ მსხვერპლთან გასაუბრების საშუალება, იმგვარად, რომ მას საფრთხე არ შეექმნას, არსებობს გარკვეული კითხვები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მეტი ინფორმაციის მიღება:

- თქვენი სურვილისამებრ, შეგიძლიათ თუ არა სამსახურიდან გათავისუფლება?
- შეგიძლიათ თუ არა სამსახურამდე მისვლა და სამსახურიდან წამოსვლა ისე, როგორც გინდათ?
- თქვენს ოჯახს ემუქრებოდნენ?
- ცხოვრობთ თქვენს დამსაქმებელთან?
- სად გძინავთ და ჭამთ?
- რა ვალდებულებები გაქვთ თქვენი დამსაქმებლის წინაშე?
- გაქვთ თქვენი პასპორტი / პირადობის მოწმობა? თუ არა გაქვთ, ვის აქვს?

ტრეფიკინგის მსხვერპლთა აბსოლუტური უმრავლესობა არ არის იდენტიფიცირებული და, შესაბამისად, მათ არ აქვთ საშუალება გამოიყენონ თავიანთი უფლებები, მათ შორის დახმარებისა და დაცვის მისაღებად. მსხვერპლის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა, მათთან კონტაქტის დაკარგვამდე, ძალიან შეზღუდულია. მნიშვნელოვანია, მოხდეს ამ მოკლე პერიოდის ეფექტურად გამოყენება, რისთვისაც არსებულ ინდიკატორებს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ტრეფიკინგის სხვადასხვა ფორმა არსებობს, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ტრეფიკინგი სექსუალური მიზნებისათვის, იძულებითი შრომის ფორმები: მონობა, იძულებითი ან ორგანიზებული მათხოვრობა და სხვა. ტრეფიკინგის სხვადასხვა ფორმის მსხვერპლთა იდენტიფიცირების ინდიკატორებიც განსხვავდება ერთმანეთისგან.

იძულებითი შრომის მსხვერპლთა ძირითადი ინდიკატორები

- დიდხანს რჩება სატრანზიტო ქვეყანაში;
- აქვს არარეალური ან ცრუ მოლოდინები დანიშნულების ქვეყანაში ცხოვრების შესახებ, ჰქონდა ცრუ დაპირებები;
- არ იცის, რომელ ქვეყანაში იმყოფება;
- ცხოვრების წესი, რომელიც ეწინააღმდეგება მათ სოციალურ მდგომარეობას: აქვს ძვირადღირებული ტელეფონი ან ნივთები, ტანსაცმელი;
- ადამიანი ხშირად ტოვებს საცხოვრებელს სხვადასხვა მანქანით ან სხვადასხვა ადამიანთან ერთად, ან საერთოდ ვერ ტოვებს;
- ცხოვრების ოფსეტური რიტმი: ძილის განრიგი, შეხვედრის შეთანხმებაზე თავის შეკავება, ან დათქმულ შეხვედრაზე გამოუცხადებლობა და არც შეხვედრის გადადებაზე წინასწარი შეტყობინება;
- ხშირად აღენიშნება დაღლილობა და კონცენტრაციის დაქვეითება;
- ნაღდი ფული აქვს ბევრი;
- იმყოფება იმ ადგილზე, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ არის ექსპლუატაციის ადგილი;

- რეგულარულად იცვლის საცხოვრებელს;
- საეჭვო საცხოვრებლის ან სამუშაო ადგილის გარშემო მყოფი მოსახლეობა ხშირად ჩივის, მაგალითად, ხმაურის, ან ძალიან ბევრი უცხო ადამიანის სტუმრობის გამო, ან სახლთან საეჭვოდ ბევრი უცხო მანქანის მოძრაობის, ან რაიმე სხვა ელემენტის გამო, რაც შეიძლება მიუთითებდეს სექსუალურ სამუშაოზე ან კრიმინალურ საქმიანობაზე;
- მსხვერპლი შესაძლოა იღებდეს სოციალურ შეღავათებს ან გადასახადებს, მაგრამ გადასცემს სხვა პირს - ტრეფიკიორს, ან / და არ აქვს თავად სარგებელზე წვდომა;
- ინტერვიუს დროს ყოველთვის თან ახლავს ადამიანი ან ჯგუფი ადამიანებისა და არ სურს ინდივიდუალურად გასაუბრება. აღნიშნული, უმეტესად, სახეზეა არასრულწლოვანთა შემთხვევაში;
- არასრულწლოვნებს ხშირად ახლავს მოზრდილი და ეკრძალებათ უცნობ მოზარდებთან საუბარი;
- კონტროლის ნიშნები სხვა ადამიანის მიერ (შეზღუდული გადაადგილების თავისუფლება, ვიღაცას გააჩნია პირის პირადი დოკუმენტები ან მას გადაეცა ყალბი დოკუმენტები)
- გამოტოვებული (პასუხგაუცემელი) სატელეფონო ზარები, ფლობს მრავალ ტელეფონს;
- არ შეუძლია საუბარი მარტო, ყოველთვის ახლავს ის, ვინც მის ნაცვლად ლაპარაკობს;
- სხვა პირი-ტრეფიკიორი ეუბნება გააფორმოს ხელშეკრულება კომპანიებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ მომსახურებას (ფინანსური, სატელეკომუნიკაციო მომსახურება);

? კითხვები, რომლებიც უნდა დაისვას:

- რატომ და როგორ დატოვეთ თქვენი ქვეყანა (თუ არის უცხო ქვეყნის მოქალაქე)?
- რა მოხდა მას შემდეგ, რაც თქვენი ქვეყანა დატოვეთ?
- რა ქვეყნები გამოიარეთ აქ ჩამოსვლამდე?
- თქვენ ირჩევთ / იცით თქვენი დანიშნულების ადგილი?
- როგორ მოხვედით ამ ქვეყანაში?
- ვინმემ წაიღო და შეინახა თქვენი პირადი დოკუმენტები, როგორიცაა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან პასპორტი?
- როგორ გადაიხადეთ მგზავრობის საფასური?
- ვინ გაუკეთა ორგანიზება თქვენს მოგზაურობას?
- მოგატყუეს თქვენი საცხოვრებელი პირობების შესახებ?
- შეგიძლიათ აღწეროთ თქვენი ცხოვრების / სამუშაო პირობები?
- სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ თუ არა წამოხვიდეთ სამუშაოდან?
- გაქვთ წვდომა თქვენს გამომუშავებულ ფულზე?
- ვინმე ემუქრება თქვენ ოჯახს, თუ დააპირებთ წასვლას ან თუ გაამჟღავნებთ თქვენი მუშაობის ხასიათს?
- გაქვთ მობილური ტელეფონი?
- შეგიძლიათ შეცვალოთ SIM ბარათი ნებისმიერ დროს როცა მოგინდებათ?

სექსუალური ექსპლუატაციის ინდიკატორები

- არ იცის, რომელ ქვეყანაშია;
- გამოკვეთილი ინტერესი სექსუალური თემებისადმი / კონტრაცეფცია / აბორტი;
- მუშაობს დიდხანს, ხშირად არასამუშაო საათებში;
- გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჰქონდა მრავალი აბორტი;
- იძულებულია ჰქონდეს დაუცველი სექსი;
- არ შეუძლია თავად აირჩიოს / უარი თქვას კლიენტებზე;
- როდესაც ქალთა ჯგუფი, სხვა ჯგუფის ან ინდივიდის კონტროლის ქვეშ იმყოფება;
- პირი იყიდეს ან გაიყიდა;
- არ წყვეტს პროსტიტუციას მაშინაც კი, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა წარმოადგენს რისკს (ორსულობა, დაავადება);
- არ დადის რეგულარულ სამედიცინო შემოწმებაზე;
- აქვს სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, რომლის დიაგნოზირება / მკურნალობა არ ხდება;
- იძულებულია, მიიღოს ნარკოტიკები და / ან ალკოჰოლი;
- იყენებს სექსუალურ ლექსიკას ადგილობრივ ენაზე ან კლიენტთა ჯგუფის ენაზე;
- აქვს ტატუ ან ბრენდინგის სხვა ფორმები, როგორიცაა ტატუები, რომელზეც წერია: „მამა“, „საკუთრება”, „გასაყიდად” ან სხვა;
- აცვია ტანსაცმელი, რომელსაც ჩვეულებრივ სექს მუშაკები ატარებენ და ამინდისთვის შესაფერისად არ აცვია (წვიმა, სიცივე);
- ნეგატიური ქცევა (შეშფოთებული, შეშინებული, სირცხვილის განცდა, უიმედო, დანაშაულის გრძნობა) და არ სურს მასზე საუბარი;
- აჩვენებს ნიშნებს, რომ მის მოძრაობას აკვირდებიან, უყურებს ადამიანს, ვინც, როგორც ჩანს, უყურებს მას;
- იცილებს მზერას, თუ გესაუბრებათ არ გიყურებთ, ვითომ არ გისმენთ;
- ექსტრემალური და / ან შეუსაბამო ქცევა, არაპროპორციული რეაქცია სიტუაციებზე (არაპროპორციული სიცილი ან ცრემლები);

კითხვები, რომლებიც უნდა დაისვას:

- როგორია თქვენი სამუშაო გრაფიკი / სასურველი დრო შეხვედრებისთვის?
- გაიძულებთ თუ არა ვინმე შესთავაზოთ სექსუალური სერვისები თქვენი ნების საწინააღმდეგოდ?
- შეგიძლიათ აირჩიოთ თქვენი კლიენტები? შეგიძლიათ აირჩიოთ კონტრაცეფცია, დაცვა, შეხვედრის დრო და ადგილები?
- ყოფილხართ ოდესმე ვიზიტზე გინეკოლოგთან?

მონობის ინდიკატორები

- ცხოვრობს ოჯახში, რომელიც მისი არ არის;
- უნდა იზრუნოს სახლის ყველა საშინაო სამუშაოზე და / ან ბავშვების მოვლაზე ყოველდღიურად;
- არა აქვს შესვენებები და თავისუფალი დრო;
- არ ჭამს ოჯახის დანარჩენ წევრებთან ერთად;
- არასოდეს ან ძალიან იშვიათად ტოვებს სახლს;
- არ აქვს პირადი სივრცე, შეიძლება დაიძინოს ლეიბზე ან / და ბავშვების საძინებელში;
- ექვემდებარება შეურაცხყოფას, მუქარას ან ძალადობის გამოყენებას სახლში.

კითხვები, რომლებიც უნდა დაისვას:

- ცხოვრობთ თქვენი დამსაქმებლის კერძო სახლში?
- ოდესმე ტოვებთ სახლს თქვენი დამსაქმებლის გარეშე?
- ზრუნავთ ოჯახის წევრებზე?
- სად გძინავს? გაქვთ საკუთარი ადგილი? გაქვთ პირადი სივრცე?
- განსხვავებულად გექცევიან, ვიდრე სხვა ადამიანებს სახლში?
- გაქვთ ჭამის ნება? სად და როდის? ჭამთ ოჯახის სხვა წევრებთან ერთად?
- გაქვთ იგივე საკვები, რაც ოჯახის სხვა წევრებს?
- გაქვთ შესვენება ან დასვენების დღე, მაგალითად, როდესაც ავად ხართ?
- შეგიძლიათ მიიღოთ გადაწყვეტილება მუშაობის შეწყვეტის შესახებ?

იძულებითი მათხოვრობის ინდიკატორები

- წარმოადგენს ჯგუფის ნაწილს, რომელიც გადაადგილებულია სხვადასხვა ქვეყანაში;
- მონაწილეობდა სხვა ქვეყანაში მათხოვრობაში ან წვრილმანი დანაშაულების ჩადენაში;
- ითხოვს მოწყალებას ან ვაჭრობს სხვადასხვა ნივთებით (ყვავილები, სანთლები და სხვ.)
- იძულებულია დაკავდეს კრიმინალური საქმიანობით (მოტაცება, ჯიბის ქურდობა, მაღაზიაში ქურდობა, ქურდობა, მანქანის ქურდობა და ა.შ.);
- მოატყუეს, რომ სამუშაო კანონიერი იყო და / ან ემუქრებიან სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებებით;
- ფიზიკური შეზღუდვა, რომელიც, როგორც ჩანს, დასახიჩრების შედეგია.

კითხვები, რომლებიც უნდა დაისვას:

- იღებთ მონაწილეობას ორგანიზებულ კრიმინალური დაჯგუფებების საქმიანობაში?
- ცხოვრობთ ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფების წევრებთან ერთად?
- იძულებულები ხართ, მოიპაროთ ან სხვა დანაშაულებრივი საქმიანობა ჩაიდინოთ?
- დაისჯებით თუ არ მოაგროვებთ ან მოიპარავთ საკმარისი რაოდენობის ფულს?

არასრულწლოვნებთან დაკავშირებული საკითხები

როგორც ავღნიშნეთ, ბავშვები უფრო დაუცველები არიან, ვიდრე ზრდასრულები და, შესაბამისად, უფრო დიდია რისკი რომ ისინი გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლი.

ტრეფიკინგის რისკის მქონე ბავშვები შეიძლება დაჯგუფდნენ შემდეგ კატეგორიებად:

სრულწლოვნის გარეშე მყოფი ბავშვები:

ბავშვები, რომლებიც თავიანთი ქვეყნიდან გაიქცნენ პოლიტიკური, ეკონომიკური ან ოჯახური მიზეზების გამო, მათ შესაძლოა ქონდეთ მზაობა დროებით სამუშაოზე, რათა შეძლონ საკმარისი თანხის შეგროვება საკუთარი თავის უზრუნველსაყოფად, თუმცა მათი უმეტესობა არ იცნობს სამუშაო პირობებს და ისინი ხშირად ექსპლუატაციის მსხვერპლები ხდებიან. უმეტესობას უწევს მუშაობა მძიმე ფიზიკური დატვირთვით, არაადამიანურ და საშიშ სამუშაო სფეროებსა და პირობებში.

ქუჩებში მყოფი (მიუსაფარი) ბავშვები:

- გაქცეული / დაკარგული ბავშვები;
- ბავშვები, რომლებსაც ქუჩაში მუშაობას აიძულებენ მშობლები / მეურვეები;
- ბავშვები, რომლებიც გაიტაცეს ან მშობლების/მეურვეების მიერ ტრეფიკიორებზე არიან გაყიდული.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა შვილები, შემდეგი მიზეზების გამო:

- დაზარალებულებისა და მათი შვილების ბინადრობის პროცედურისა და სტატუსის გაურკვევლობა;
- მშობლებს არა აქვთ შესაძლებლობა, იზრუნონ ბავშვზე;
- სტიგმატიზირება და ბავშვების იზოლაცია;
- ბავშვები იზრდებიან მშობლებთან ერთად, მაგრამ საფრთხის შემცველ გარემოში, არ მიუწვდებათ ხელი არსებულ მომსახურებზე, მათი უფლებები დარღვეულია, ისინი ხდებიან ტრეფიკინგის და ექსპლუატაციის სამიზნე.

არსებობს გარკვეული ინდიკატორები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მოხდეს მსხვერპლ ბავშვთა ამოცნობა. არსებობს როგორც ზოგადი ინდიკატორები, ასევე სპეციფიური ინდიკატორები ამა თუ იმ კატეგორიის მსხვერპლთათვის.

ზოგადი ინდიკატორები არასრულწლოვნისთვის:

- იმოგზაურა/მოგზაურობს მოზრდილთან ერთად, რომელიც არ არის მისი მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი;
- ქუჩაში მომუშავე ბავშვები: ნივთების გაყიდვა (სიგარეტი, გაზეთი, სასმელი, სათამაშოები, ყვავილები და ა.შ.);
- შუქნიშანზე საქარე მინების გაწმენდა, მათხოვრობა და ა.შ.;
- გარბის თავშესაფრებიდან / საცხოვრებლიდან;
- დაუსწრებლად სწავლა ან სკოლაში სწავლის მიტოვება;
- არის დაკავებული სამუშაოთი, რომელიც არ შეესაბამება მის ასაკს;
- არ აქვს თამაშის დრო;
- სამსახურის გარეთ არ ჰყავს თავისი თანატოლი მეგობარი;
- იტყუება თავის ასაკზე, რათა თავი დააღწიოს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემას;
- იყენებს ნარკოტიკებს და / ან ალკოჰოლს;
- თუ არის თანმხლებ პირთან ერთად, ხშირად მას შეუძლია წარმოაჩინოს თავი ნათესავად ან ოჯახის წევრად, მაგრამ ინტერვიუს დროს იკვეთება, რომ ისინი ერთმანეთს კარგად არ იცნობენ;
- მოდის შეხვედრაზე მოზრდილთან ერთად, რომელსაც სურს ინტერვიუზე დასწრება;
- არ აქვს ბავშვისთვის დამახასიათებელი ქცევა;
- არაჯანსაღ ურთიერთობას აყალიბებს მოზრდილებთან;
- ბავშვის უჩვეულო ქცევა თანმხლები პირის მიმართ (შფოთვა, შიში);
- ჰიგიენის საგანგაშო მდგომარეობა;
- უპატრონოდ და განცალკევებულ ბავშვებს წარმოადგენენ და-ძმად, როდესაც მათთან არა აქვთ კავშირი და არანაირი მიჯაჭვულობა.

სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლის ამოსაცნობი ინდიკატორები:

- ორსული ბავშვი;
- ბავშვს აცვია ტანსაცმელი, რომელსაც სექსუალური მუშაკები ატარებენ;
- ბავშვისთვის დამახასიათებელია სექსუალური ხასიათის ქცევა;
- ბავშვის სათამაშოები, საწოლები და ტანსაცმლი არის შეუსაბამო ადგილებში, როგორიცაა ბორდელები, ქარხნები და ა.შ.
- ბავშვს ყავს უფროსი, ან უბრალოდ მაკონტროლებელი მშობელი, მეურვე, რომანტიკული პარტნიორი ან "სპონსორი", რომელიც არ გაძლევთ საშუალებას შეხვდეთ ან მასთან მარტო ისაუბროთ;
- ბავშვი მუშაობს ისეთ ინდუსტრიაში, სადაც შეიძლება ფულის გამო სექსუალური მოქმედებების განხორციელებაზე ზეწოლა მოხდეს, მაგალითად, სტრიპტიზ კლუბები, საეჭვო ღამის კლუბები და ბარები ან მასაჟის კაბინეტები;
- ბავშვი ცხოვრობს ოჯახის წევრთან/წევრებთან, რომლებიც არიან ალკოჰოლზე ან მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულნი და/ან არიან მოძალადეები;

- აქვთ გამოცდილება ემოციური, სექსუალური ან სხვა ფიზიკური ძალადობის შესახებ;
- აღენიშნებათ მიმდინარე ფიზიკური ძალადობის ნიშნები და /ან სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ნიშნები;
- ძვირადღირებული საჩუქრების, ტანსაცმლის ან სხვა სახის ნივთები;
- ნარკოტიკებზე დამოკიდებულება.

იძულებითი მათხოვრობა და ანტისაზოგადოებრივი საქმიანობის ინდიკატორები

- ყოველდღე მოძრაობს ბავშვებისგან შემდგარ ჯგუფთან ერთად, განსაკუთრებით პოპულარულ ან ტურისტულ ადგილებში;
- ერთი და იგივე ეროვნების ბავშვთა ჯგუფი;
- ახდენს ნარკოტიკების ან სხვა უკანონო პროდუქტების ტრანსპორტირებას ან რეალიზაციას;
- ჭამს მხოლოდ ნარჩენებს;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან დასახიჩრებული ბავშვებისგან შემდგარ ჯგუფთან ერთად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინდიკატორების არსებობა თავისთავად არ ნიშნავს, რომ ბავშვი არის ტრეფიკინგის მსხვერპლი. ამასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ნიშნების ამოსაცნობად არ არის აუცილებელი ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორების ერთობლიობის არსებობა. ერთ-ერთის არსებობა არის უკვე ეჭვის საფუძველი, რომ პირი, შესაძლოა, არის/იქნება ტრეფიკინგის მსხვერპლი. აღნიშნული ინდიკატორები არ არის ამომწურავი და შესაძლოა, პირის მიმართ ტრეფიკინგის განხორციელების ფაქტზე სხვა გარემოებები მიუთითებდეს.

6. ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვთან კონტაქტის დამყარება და გასაუბრება/გამოკითხვა

მიუსაფარ ბავშვებთან მომუშავე მობილური ჯგუფის წევრებს - სოციალურ მუშაკს, ფსიქოლოგს ან თანასწორგანმანათლებელს, ბავშვთან კონტაქტის, მასთან ნდობის მოპოვებისა და საუბრის საფუძველზე, ან არსებული გარემოებების გათვალისწინებით თუ გაუჩნდა ეჭვი ბავშვის ექსპლუატაციისა, შესაძლებელია დაიწყოს ინფორმაციის შეგროვება - გამოკითხვა.

არასრულწლოვნის გამოკითხვისას, მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის როგორც რაოდენობა, ასევე სანდოობა, დიდწილად, განპირობებულია ბავშვის განვითარების დონით. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ასაკობრივი განვითარების დონე არ განსაზღვრავს ბავშვის მიერ პირადი გამოცდილების გადმოცემის უნარს, ის ასევე განპირობებულია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორებით, როგორიცაა მომხდარი შემთხვევის კონკრეტული თავისებურებები და რაც მთავარია, გამოკითხვისას გამსაუბრებლის მიერ გამოყენებული მეთოდები, დასმული შეკითხვების ფორმა.

ბავშვებთან კონტაქტის დამყარება და გასაუბრება განსაკუთრებულ მიდგომებს და მომზადებას საჭიროებს.

უნდა გვახსოვდეს

რომ ბავშვთან ინტერვიუს დაწყებამდე აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის (მშობლის/მეურვის/მზრუნველის) თანხმობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თუმცა, მიუსაფარი ბავშვების დიდი ნაწილი ქუჩაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გარეშე არის და აღნიშნული არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას.

მობილური ჯგუფის წევრების მხრიდან მიუსაფარ ბავშვებთან მუშაობისას მათთან კონტაქტის დამყარება და ნდობის მოპოვება ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომლის ტექნიკას ჯგუფის თითოეული წევრი ფლობს და იცის მისი გამოყენება. ასევე, მნიშვნელოვანია ისეთი დეტალების ცოდნა, რომელიც დაგეხმარებათ სავარაუდო ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვთან კომუნიკაციასა და ინფორმაციის მოპოვებაში. მიუსაფარ ბავშვებთან კონტაქტის დამყარების მიზნით პროფესიონალი ცდილობს მიიღოს ინფორმაცია ბავშვის პიროვნების, მისი ოჯახის, მეგობრების, ინტერესების შესახებ და არ სვამს კითხვებს მომხდარი ან სავარაუდო ძალადობის/ექსპლუატაციის შესახებ. ეს ბავშვს აგრძნობინებს, რომ მასთან მოსაუბრე ადამიანი დაინტერესებულია მისით, როგორც პიროვნებით და არა მხოლოდ როგორც მსხვერპლით. ამგვარი ინტერესი დაეხმარება ბავშვს, რომ პროფესიონალის მიმართ ნდობა გაუჩნდეს.

ბავშვთან საუბრისას:

- გამოიჩინეთ ყურადღება და თანაგრძნობა;
- გამოიყენეთ მოკლე კითხვები და წინადადებები;
- გამოიყენეთ მარტივი და ბავშვისთვის გასაგები გრამატიკული კონსტრუქციები. მაგალითად, ბევრ ბავშვს არ ესმის აბსტრაქტული ცნებები, სიტყვების გადატანითი მნიშვნელობები, ორმაგი უარყოფის შემცველი წინადადებები და სხვა;
- არ გამოიყენოთ პროფესიული ტერმინები;
- სასქესო ორგანოებს ის სახელები უწოდეთ, რასაც ბავშვი უწოდებს მათ;
- შეეცადეთ ნაკლებად იხმაროთ ნაცვალსახელები;
- ყველაზე მთავარი დეტალები და ფაქტები, უმჯობესია, ჩაიწეროთ მაშინვე, საუბრის შემდეგ.

მზად იყავით იმისთვის, რომ საუბრის დასაწყისში ბავშვმა შეიძლება არაფერი გითხრათ, რაც საკმაოდ ხშირად ხდება, რადგან ბავშვს უძნელდება თავისი „საიდუმლოს გამხელა“. უთხარით, რომ თქვენ იცით, რამდენად ძნელია მისთვის ამ თემაზე საუბარი.

მოერიდეთ:

- ფიზიკურ კონტაქტს, განსაკუთრებით, სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან;
- შიშის, ზიზღის ან დაეჭვების გამომხატველ ემოციურ რეაქციებს ბავშვის მონათხრობზე;
- გრძნობების მძაფრად გამოხატვას, იმის მიუხედავად, რასაც არ უნდა ჰყვებოდეს ბავშვი;
- პასუხისმგებლობის მხოლოდ საკუთარ თავზე აღებას;
- სხვა სპეციალისტების (მაგალითად, ფსიქოლოგის) ფუნქციების საკუთარ თავზე აღების მცდელობას;
- ბავშვის მონათხრობის ინტერპრეტირებას.

გამოკითხვაზე გავლენას ახდენს:

ბავშვთან დაკავშირებული გარემოებები

ბავშვის ასაკი, მისი ფიზიკური მდგომარეობა, ემოციური მდგომარეობა, განვითარების დონე (მათ შორის, მეტყველების განვითარების), გამოცდილება, ცოდნის დონე, საუბრისთვის მზაობა და სხვა.

ბავშვისგან დამოუკიდებელი გარემოებები

ინტერვიუერის პიროვნება, შესაბამისი ცოდნისა და უნარების ფლობა, ბავშვთან მუშაობის ტექნიკა. ინტერვიუერი უნდა ერკვეოდეს ბავშვის განვითარების ასაკობრივ თავისებურებებში. მას უნდა შეეძლოს დაღლილობისა და ყურადღების კონცენტრაციის დაქვეითების ნიშნების ამოცნობა: მაგალითად, როცა ბავშვი სკამზე წრიალებს, შეკითხვას არ ისმენს, ყურადღება ეფანტება, უნდა შესთავაზოს შესვენება ან ინტერვიუს მომდევნო დღისათვის გადადება (თუ ეს შესაძლებელია). მტკივნეულ თემაზე საუბრისას ინტერვიუერი უნდა მიხვდეს, რა უქმნის ბავშვს დისკომფორტს.

ინტერვიუს ჩატარების ადგილი

მიუსაფარ ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებს პირველადი კონტაქტი უწევთ ბავშვის ლოკაციის ადგილზე. თუ პირველადი კონტაქტისას გაჩნდა ეჭვი, რომ ბავშვი არის ექსპლუატაციის მსხვერპლი, სასურველია დაიწყოთ გამოკითხვა ბავშვისათვის კომფორტულ ადგილზე, თუნდაც აღნიშნულ ლოკაციაზე. ამ დროს მნიშვნელოვანია დარწმუნდეთ, რომ „მესამე“ პირი არ აკონტროლებს სიტუაციას, ან მიმდინარე პროცესმა არ შეუქმნას ბავშვს ისეთი საფრთხე, რომ შემდგომ ვეღარ მოახერხოთ მასთან კონტაქტის დამყარება. ვარაუდი იმისა, რომ თქვენი ეჭვი ბავშვის ექსპლუატაციის თაობაზე პირველივე გამოკითხვის დროს დადასტურდეს ნაკლებია. ამიტომ, რაც შეიძლება დროულად დაგეგმეთ შემდგომი კონტაქტის სავარაუდო დრო. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული გარემოებების გამო ვერ მოახერხეთ ბავშვთან კონტაქტი და ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვის მახასიათებელი ინდიკატორი სახეზეა, აუცილებლად დაიწყეთ აქტიური მონიტორინგი და ეცადეთ ფრთხილად, ბავშვისათვის არასაზიანოდ, ეტაპობრივად მიიღოთ ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, თუ ეჭვი საფუძვლიანია, მაგრამ გარემოებების გამო (მაგალითად, ბავშვი არასდროს არ არის მარტო, მისი თანმხლები პირი/პირები მკაცრად აკონტროლებენ მის გადაადგილებასა და სავარაუდო კონტაქტებს) ვერ ახერხებთ კონტაქტის დამყარებას, მიმართეთ სამართალდამცავ სამსახურებს. სასურველია, ბავშვთან კონტაქტის დამყარების შემდეგ, შემდგომი გამოკითხვის ჩატარება მიუსაფარ ბავშვთა მომსახურების ადგილზე - დღის ცენტრში განხორციელდეს. ინტერვიუს ჩატარების ადგილი ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ ბავშვმა თავი კომფორტულად იგრძნოს. ინტერვიუს ჩასატარებლად უნდა გამოიყოს ცალკე ოთახი და გასაუბრების პროცესში უნდა გამოირიცხოს ყველა ის ფაქტორი, რომელიც ბავშვს ყურადღებას გაუფანტავს.

ინტერვიუს ჩატარების დრო

ინტერვიუს ჩატარების დრო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს. აუცილებელია ბავშვის ასაკისა და ასაკისათვის შესაფერისი დღის განრიგის გათვალისწინება. დაღლის ფაქტორი გავლენას ახდენს ინტერვიუს მსვლელობაზე. გასათვალისწინებელია, რომ ბავშვი ბუნებრივად იქცევა, როცა იგი დასვენებულია.

სხვა დამსწრეები

უცხო პირთა დასწრებამ შეიძლება ხელი შეუშალოს ძალადობის/ექსპლუატაციის შესახებ სწორი ინფორმაციის დადგენას. ინტერვიუერმა უნდა გადაწყვიტოს, შეუწყობს თუ არა ხელს სხვების დასწრება ბავშვს იმაში, რომ თავი მოხერხებულად იგრძნოს და შესაბამისად, დაეხმარება თუ არა ეს მას სწორი ინფორმაციის მიღებაში.

მშობლები

ისეთი ბავშვის გამოკითხვას, რომელსაც საკუთარი აზრის გამოთქმა უჭირს, სასურველია, მშობელი ან ოჯახის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რომელიმე წევრი, ან მისი თანმხლები თანატოლი ესწრებოდეს ,,გადასათარგმნად''. თუმცა, აქაც არსებობს გარკვეული რისკი.

პირველი, შეიძლება მშობელი, ოჯახის წევრი/თანმხლები იყოს ტრეფიკიორი ან იყოს მასთან ერთად ექსპლუატაციის მსხვერპლი და ეს გარემოება შესაძლებელია იყოს ბავშვის დუმილის მიზეზი.

მეორე, ბავშვს შეიძლება წინასწარ დაუგეგმონ ან სულაც აუკრძალონ მომხდარზე საუბარი.

მესამე, ბავშვი შეიძლება დაელოდოს მშობლის თანხმობას, სანამ კითხვაზე პასუხს გაგცემთ.

ამ მიზეზების გამო რეკომენდებულია ინტერვიუს ჩატარება მარტო.

ინტერვიუსთვის მომზადება

ინტერვიუსთვის მომზადება გულისხმობს, ერთი მხრივ, ინტერვიუერისა და ინტერვიუს ჩატარების ადგილის მომზადებას და, მეორე მხრივ, ბავშვის მომზადებას ინტერვიუსათვის. სასურველია, რომ ინტერვიუ ჩატარდეს დღისით, როცა ბავშვი ფხიზლადაა და დაღლილი არაა.

დაგეგმვისას გასათვალისწინებელია:

- ბავშვის ასაკი და სქესი;
- ბავშვის კულტურა, რელიგია, ეთნოსი, სალაპარაკო ენა;
- ბავშვის შესაძლებლობები, მისი განვითარების დონიდან გამომდინარე;
- ბავშვის ამჟამინდელი ემოციური მდგომარეობა;
- ნებისმიერი სახის ფსიქიკური თუ ფიზიკური შეზღუდვები, რომლებიც სპეციალისტის ჩართვას/ყურადღებას საჭიროებს;
- ბავშვის ოჯახი და ცხოვრების პირობები (ძალადობა ოჯახში, განქორწინება, დევნილობა, სიკვდილი, თავშესაფრის არქონა, ავადმყოფობა/შრომისუნარიანობის დაკარგვა, ასევე - ბავშვის ურთიერთობა ოჯახის წევრებთან);
- ბავშვის დღის რეჟიმი, ყოველდღიური პროცედურები, ბანაობა, ძილი, კვება და სხვა;
- დეტალური ინფორმაცია ინტერვიუმდე ჩატარებული ღონისძიებების თუ გაწეული დახმარების (თერაპია, კონსულტაცია) შესახებ;
- განსაკუთრებული გარემოებები (მაგალითად, ადრე განცხადებულის უარყოფა, ინტერვიუვერის შეცვლა და სხვა).

ინტერვიუერმა საუბრისთვის უნდა გამოყოს დრო. ინტერვიუს ტემპს თვითონ ბავშვი გვკარნახობს თავისი ქცევით. ინტერვიუერი, რომელსაც სურს ერთი შეხვედრით შემოიფარგლოს და მომხდარის შესახებ მთელი ინფორმაციის ამოღებას ერთი ინტერვიუდან აპირებს, ბავშვზე აუცილებლად მოახდენს ზეწოლას (თუნდაც უნებურად). თუკი საუბრისთვის გამოყოფილი დროის ლიმიტი ამოიწურება ისე, რომ ინტერვიუერი საჭირო ინფორმაციას ვერ მიიღებს, უკეთესია, რომ მან კიდევ ერთი შეხვედრის ორგანიზება მოახერხოს. შეხვედრათა ლიმიტის წინასწარ განსაზღვრა არასასურველია. შესვენება აუცილებელია, თუ ბავშვი მოითხოვს ამას, ან თუ იგი დაღლილად გამოიყურება. ინტერვიუს წინ ან შესვენებისას ბავშვს უნდა შევთავაზოთ წყლის დალევა ან საპირფარეშოში გასვლა. ინტერვიუს დროს არ არის რეკომენდებული საკვების შეთავაზება, რადგან ეს მას ყურადღებას გაუფანტავს. სასურველია, შევთავაზოთ წვენი და უკოფეინო სასმელები. გახსოვდეთ, რომ სასმელისა და საკვების შეთავაზება ბავშვმა შეიძლება აღიქვას, როგორც ჯილდო პასუხისათვის. შედეგად ის შეეცდება გაგცეთ რაც შეიძლება მეტი პასუხი ისე, რომ არც დაფიქრდეს მათ სისწორეზე. ამდენად, აუცილებელია განვუმარტოთ, რომ ნამცხვარსა და სასმელს ინტერვიუზე მოსულ ყველა ბავშვს ვთავაზობთ და არავითარ შემთხვევაში არ ვუთხრათ: ,,წვენითა და ორცხობილით გაგიმასპინძლდები, თუკი კითხვებზე გამცემ პასუხს“. ინტერვიუსათვის დამხმარე მასალა: სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, კონსტრუქტორები, ჩვეულებრივი თოჯინები, მანქანები, ანატომიური თოჯინები. მაგიდაზე უნდა იდოს მხოლოდ ფურცლები, ფანქრები. სათამაშოები უნდა ინახებოდეს დახურულ კარადაში, რათა ბავშვს ყურადღება არ გაეფანტოს. ინტერვიუერმა ბავშვს სათამაშო უნდა მისცეს შესვენებისას ან ინტერვიუს პროცესში, როგორც ინფორმაციის მიღების ალტერნატიული საშუალება.

ბავშვის განვითარების დონის შეფასება და გათვალისწინება

ინტერვიუერმა წინასწარ უნდა შეაფასოს ბავშვის განვითარების დონე. ის უნდა დაინტერესდეს, ხომ არა აქვს ბავშვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ინტერვიუს მიმდინარეობას. ბავშვის განვითარების დონეს, საჭიროების შემთხვევაში, წინასწარ აფასებენ ფსიქოლოგები. ინტერვიუერმა უნდა გაარკვიოს, შეესაბამება თუ არა მისი სამეტყველო ენა ბავშვის განვითარების დონესა და მის კულტურულ თავისებურებებს. ბავშვთან საუბრის დაწყებამდე უნდა გამოიყენოს ბავშვის სასაუბრო ლექსიკონში შემავალი სიტყვები. წინადადებათა მარტივი სტრუქტურა და მარტივი შეკითხვები აუცილებელია იმისათვის, რომ ბავშვი მიხვდეს, რას ეკითხებიან.

ბავშვები, რომლებსაც აქვთ ჯანმრთელობის პრობლემა

იმ ბავშვებთან საუბრისას, რომლებიც მედიკამენტებს იღებენ, ინტერვიუერმა აუცილებლად უნდა გაარკვიოს, რა სახის წამლებს იღებს ბავშვი და როგორ ზემოქმედებენ ისინი ბავშვის ქცევაზე, მის რეაქციებზე, მეხსიერებაზე, დააზუსტოს წამლის მიღების დრო და მოქმედების ხანგრძლივობა. ინტერვიუ უნდა დაიგეგმოს მაშინ, როცა წამლის გვერდითი მოვლენები აღარ მოქმედებს ბავშვის ფსიქიკასა და მის საერთო მდგომარეობაზე. ინტერვიუერმა შეიძლება კონსულტაციისათვის მიმართოს პედიატრს, რომლის მეთვალყურეობის ქვეშ იყო ბავშვი ინტერვიუმდე.

თუკი ბავშვი სარგებლობს სპეციალური ინსტრუმენტებით, როგორიცაა ეტლი, სასმენი აპარატი ინტერვიუერმა უნდა გაითვალისწინოს საუბრისას ამ ყველაფრით გამოწვეული უხერხულობები და გამორიცხოს მათი ნეგატიური გავლენა ინტერვიუს მსვლელობაზე.

თუ ბავშვს აქვს შეფერხებები განვითარებაში, კითხვები ისე უნდა იქნეს ფორმულირებული, რომ ისინი შეესაბამებოდეს ბავშვის ფსიქიკურ განვითარებას და არა მის ასაკს.

შესაძლოა, ინტერვიუერის მიერ გამოყენებული ტერმინი ბავშვმა ვერ გაიგოს, თუნდაც ეს ტერმინი შეესაბამებოდეს ბავშვის მენტალური განვითარების დონეს.

იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს, საჭიროა წინასწარ დაველაპარაკოთ მშობლებს ან სხვა პირს, რომლებსაც აქვს ინფორმაცია ბავშვის შესახებ და შეუძლიათ დაგვეხმარონ ინტერვიუს ჩატარებისას მოსალოდნელი გართულებების წინასწარ განჭვრეტაში. ასეთ ბავშვთან საუბრისას განსაკუთრებით მომთმენი, ყურადღებიანი და ტაქტიანი უნდა ვიყოთ.

ინტერვიუს დაწყებამდე ინტერვიუერმა ბავშვს უნდა დაათვალიერებინოს ოთახი ან შეარჩიოს ბავშვისადმი კეთილგანწყობილი გარემო, სადაც ინტერვიუ ჩატარდება, უმეტესად, მიუსაფარი ბავშვების შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, როდესაც მობილური ჯგუფის სოციალური მუშაკი ჩათვლის, რომ ბავშვის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მნიშვნელოვანია და ბავშვი იძლევა თანხმობას მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ჩაიწეროს, საჭიროა ბავშვისათვის ჩაწერის მიზეზის ახსნა და იმის ჩვენება, თუ როგორ ჩაიწერება ინტერვიუ. ბავშვს საშუალება უნდა მიეცეს, თვითონ აირჩიოს ადგილი, სადაც დაჯდება. კონტაქტის დასამყარებლად სასურველია, რომ ინტერვიუერმა ჯერ ჰკითხოს ბავშვს მისი ოჯახის, მეგობრების, სკოლის შესახებ. შეკითხვები წელიწადის დროებზე, ცხოველებზე, ყოველდღიურ მოვლენებზე. მხარდაჭერის მეთოდების გამოყენება ამცირებს ბავშვის შფოთვას, ეხმარება მას სირცხვილის და დანაშაულის გრძნობებთან გამკლავებაში, დაცულობის განცდის ჩამოყალიბებაში, შესაბამისად, გასაუბრების პროცესში სრულფასოვნად ჩართვაში.

მაგალითად, შეკითხვები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

ზოგადი მხარდაჭერა

- შეხვედრა: მიხარია შენი ნახვა.
- ბავშვისადმი ინტერესის გამომჟღავნება: მინდა, უკეთ გაგიცნო/უფრო მეტი გავიგო შენ შესახებ.
- ზრუნვის გამოხატვა: მე დაინტერესებული ვარ შენი კარგად ყოფნით.
- მოკითხვა: როგორ ხარ/თავს როგორ გრძნობ?
- წახალისება: მეხმარები უკეთ გაგებაში/შენ კარგად ართმევ თავს.
- სითბოს გამოხატვა: ხომ არ გცივა?/წამოდი, გაჩვენებ, სად არის ტუალეტი/აგერ, ჭიქით წყალი შენთვის.
- მადლიერება: დიდი მადლობა დახმარებისთვის/ვაფასებ შენს მონდომებას.

როდესაც ბავშვს უჭირს გამოკითხვაში ჩართვა

- თანაგრძნობა: ვიცი, რომ გიჭირს ამაზე საუბარი/ვიცი, რომ ეს დიდი ხნის წინ მოხდა.
- დარწმუნება: შეგიძლია კარგ რაღაცეებზეც მომიყვე და ცუდზეც/აქ ყველაფერზე შეგიძლია ლაპარაკი/შეგიძლია თქვა ისეთი რაღაც/ისეთი სიტყვები/ცუდი სიტყვები.
- ბავშვის პრობლემების განზოგადება: თავიდან ბევრ ბავშვს უჭირს, რცხვენია.
- თავდაჯერებულობა/ოპტიმიზმი: შენ შეძლებ ამას, რა თქმა უნდა, შეგიძლია ეს მითხრა.
- გამხნევება: არ ინერვიულო, სხვა ბავშვებს არაფერს ვეტყვი/არ დაგაგვიანდება/შენს დაჭერას არავინ აპირებს/მალე მოვრჩებით.
- დახმარების შეთავაზება: მოყოლაში რა დაგეხმარება? შეგიძლია დაწერო, დაიწყე და მე მოგეხმარები.

წარმატებული ურთიერთგაგების დამყარება მხოლოდ მიმართვა და შეკითხვების დასმა როდია. უწინარესად, ეს არის ბავშვის მიერ გაკეთებული ვერბალური და არავერბალური სიგნალების შეფასება და იმაში დარწმუნება, რომ ბავშვი თანამშრომლობისათვის მზადაა. ურთიერთგაგების, კონტაქტის დამყარების ფაზის სათანადოდ გავლა ინტერვიუში ბავშვის ეფექტური ჩართულობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება კონკრეტულ საკითხებზე გადასვლა. ინტერვიუერმა აუცილებლად უნდა აუხსნას ბავშვს, რატომ არის საჭირო მასთან საუბარი და რას ელიან მისგან. თუკი ბავშვს ეცოდინება, რის გაგება სურთ მისგან, ის ნაკლებად აღელდება და ნაკლებად დაეჭვდება. შესაბამისად, მისი პასუხები უფრო ზუსტი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვმა შეიძლება ივარაუდოს, რომ მომხდარში მას ადანაშაულებენ და მის დასჯას აპირებენ.

ასევე, აუცილებელია ბავშვისთვის ინტერვიუს წესების ახსნა. ბავშვს შეიძლება ეგონოს, რომ მან არ უნდა შეუსწოროს ინტერვიუერს, თუ ამ უკანასკნელს არასწორად ესმის ბავშვის ნათქვამი.

ინტერვიუერს შეუძლია შემდეგნაირად განუმარტოს ბავშვს ინტერვიუს წესები:

- ვიწყებ შენთვის კითხვების დასმას;
- თუ შენ შეკითხვას ვერ გაიგებ, მითხარი ამის შესახებ ან მთხოვე გამეორება;
- თუ შენ არ იცი პასუხი, მითხარი, რომ არ იცი;
- თუ შენ იცი პასუხი, მაგრამ პასუხის გაცემა შენთვის ძალიან რთულია, მითხარი ამის შესახებ;

– თუ შენ არ გახსოვს, მითხარი, რომ არ გახსოვს;

– ჩვენ ახლა ვსაუბრობთ სინამდვილეში მომხდარზე და არა გამოგონილზე;

– ზოგჯერ მე გავიმეორებ შენს შეკითხვას. თუ მე ამას არაზუსტად ვიტყვი ან შემეშლება რამე, მითხარი ამის შესახებ, შემისწორე;

– თუ შენ დაიღალე ან დასვენება გინდა, მითხარი ამის შესახებ და ჩვენ შევისვენებთ;

– მას შემდეგ, რაც მე დავასრულებ შეკითხვების დასმას, შენ შეგიძლია მკითხო, რა დარჩა შენთვის გაუგებარი, ან მითხრა, რა გაწუხებს. მე შევეცდები ვუპასუხო შენს შეკითხვებს.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ბავშვმა გვიამბოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მომენტების შესახებ: ვინ იყო ქმედების მონაწილე, სად მოხდა ძალადობა, როგორ მოხდა, რა ითქვა და რას გრძნობდა თვითონ.

დეტალების შეკრება

ინტერვიუერის ამოცანაა ზუსტად გაიგოს, რაზე საუბრობს ბავშვი.

ინტერვიუერმა შეიძლება დასვას კითხვები მომხდარის დეტალების დასაზუსტებლად. კითხვები დეტალებთან დაკავშირებით ხელს უნდა უწყობდეს იმის დადგენას, თუ ვინ ესწრებოდა ძალადობას, რას აკეთებდნენ ისინი, როდის, სად და როგორ მოხდა ეს. ისეთ კითხვებს, როგორიცაა ,,კი“ ან ,,არა?“ ან მრავალმნიშვნელოვან შეკითხვებს უნდა ახლდეს კონკრეტული ხასიათის კითხვაც (მაგალითად, „უფრო მეტი მიამბე ამის შესახებ“).

თუ დანაშაულებრივი ქმედება იყო განმეორებადი, მაშინ ბავშვმა ჯერ ერთ შემთხვევაზე უნდა გიამბოთ. როცა ერთი შემთხვევის დეტალები ცნობილია, ინტერვიუერს შეუძლია ივარაუდოს მოვლენების შემდგომი განვითარება და ერთი შემთხვევიდან მეორეზე გადაიტანოს საუბარი, დასვას კითხვები, რომლებიც გაამჟღავნებენ დეტალებს.

ინტერვიუერი უნდა დაინტერესდეს მომხდარი ძალადობის დეტალებით (რას გრძნობდა, რა ესმოდა, რას ხედავდა ბავშვი). ასევე იმით, თუ ვინ იმყოფებოდა იქ (ქმედების დროს), სად იყვნენ ამ დროს მშობლები, ვინ რა თქვა. თუ ბავშვი აცხადებს, რომ მან მომხდარზე უფროსს უამბო, ინტერვიუერმა უნდა გაარკვიოს გარემოებები, სადაც ეს მოხდა, რა ითქვა და რა ზომები იქნა მიღებული.

ბავშვმა შეიძლება აღწეროს ის ნივთები (ფოტოები, წიგნები, ჟურნალები, ტანსაცმელი და სხვა), რომლებიც გამოიყენა სავარაუდო ტრეფიკიორმა ან მოძალადემ. ასეთი ნივთების აღმოჩენა ხელს შეუწყობს ბავშვის მონათხრობის სისწორის დადგენას.

ენობრივი (ლინგვისტური) წესები ბავშვის გამოკითხვისას

- გამოიყენეთ მარტივი, ყოველდღიური სიტყვები და გამოთქმები;
- დასვით მარტივი და მოკლე შეკითხვები.
- გრძელი შეკითხვები უნდა დაიყოს რამდენიმე მოკლე შეკითხვად, ყოველ მათგანში უნდა იყოს მხოლოდ ერთი ახალი მთავარი აზრი;
- ნაცვალსახელების ნაცვლად გამოიყენეთ საკუთარი სახელები და ადგილის აღსანიშნავად ზუსტი სიტყვები. იკითხეთ: ,,რა გითხრა ანამ?“; და არა _ ,,რა გითხრა მან?“
- იკითხეთ: ,,სამზარეულოში ბევრი ადამიანი იყო?“; და არა _ ,,იქ ბევრი ადამიანი იყო?’’;
- თავი შეიკავეთ ამგვარი შეკითხვებისაგან: ,,გახსოვს თუ არა, რომ...?“;
- გაითვალისწინეთ, რომ პატარა ბავშვები სიტყვებს მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით ხმარობენ;
- თავი შეიკავეთ შეკითხვისაგან ,,რატომ?”. ბავშვს შეიძლება ეგონოს, რომ მას ადანაშაულებენ და მან მომხდარი კი არ უნდა აღწეროს, არამედ თავი უნდა იმართლოს.

შეკითხვების ტიპები

რატომ არის მნიშვნელოვანი შეკითხვების ტიპებზე ყურადღების გამახვილება?

შეკითხვების ტიპებზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მტკივნეულ თემაზე საუბრისას მოხდეს:

- ბავშვის სტრესის მინიმუმამდე დაყვანა;
- გადატანილი ძალადობის შესახებ ბავშვისგან მაქსიმალურად გასაგები და სარწმუნო ინფორმაციის მიღება;
- იმ ფაქტორების მინიმალიზება, რომელთა გამოც ბავშვისგან მიღებული ინფორმაცია შეიძლება „დაბინძურებული“ იყოს.

ბავშვთან გასაუბრებისას გამოყენებული შეკითხვების ტიპები

1 ღია შეკითხვები

ამგვარი შეკითხვები ბავშვს თავისუფალი თხრობის საშუალებას აძლევს და ბავშვისგან მიღებული ინფორმაციის სანდოობას მნიშვნელოვნად ზრდის. არსებობს ორი მეტად მნიშვნელოვანი სიტყვა, რომელიც ნებისმიერმა გამომკითხველმა ხშირად უნდა გამოიყენოს: „მითხარი...“, ,,მომიყევი...“. მათი მეშვეობით ბავშვს საუბრისთვის, თხრობისთვის განვაწყობთ.

დამაზუსტებელი/შემავსებელი შეკითხვები:

დასაწყისში, ღია შეკითხვების პასუხად, ბავშვმა თავისუფალი თხრობით შეიძლება ინფორმაცია არასრულად გადმოსცეს. მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ ბავშვმა თხრობა დაასრულა, შეგიძლიათ გამოიყენოთ დამაზუსტებელი/შემავსებელი შეკითხვები, რომლებიც ბავშვს გადმოცემული ინფორმაციის შევსების საშუალებას მისცემს: „უფრო მეტი მომიყევი/მითხარი...“, „შემდეგ რა მოხდა?“, „განაგრძე“ და სხვა.

2 პირდაპირი კითხვები

ბავშვთან გასაუბრებისას დგება მომენტი, როდესაც ცხადი ხდება, რომ არსებობს ინფორმაციის დეფიციტი, რომლის შევსება ღია კითხვების გამოყენებით ვეღარ ხდება. ამ დროს საჭიროა პირდაპირი შეკითხვების გამოყენება. ამ კატეგორიას მიეკუთვნება შეკითხვები, რომლებიც იწყება კითხვითი სახელებით: რა, ვინ, სად, როდის, როგორ, რატომ.

„რატომ“ შეკითხვების გამოყენება განსაკუთრებულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამგვარ შეკითხვებზე ბავშვმა, უმეტესწილად, პასუხი არ იცის და მან უნდა გამოიცნოს - „რატომ გააკეთა X-მა ეს?“ უნდა გამოიცნოს X-ის განზრახვა. ამას გარდა, „რატომ“ შეკითხვები ფარულ დადანაშაულებას შეიცავს („რატომ არ დაუძახე დედას?“ -აქ ბავშვმა თითქოს თავი უნდა იმართლოს) და ბავშვი აღიქვამს, რომ მას რაღაცაში ადანაშაულებენ.

„როდის“ შეკითხვების შემთხვევაშიც გარკვეული სირთულეები იქმნება. მცირეწლოვან ბავშვებს უჭირთ დროის კონკრეტული პერიოდების დასახელება. ეს სიძნელე აღინიშნება შედარებით უფროსი ასაკის ბავშვებშიც, როდესაც საქმე ეხება დიდი ხნის წინ მომხდარ შემთხვევას. ამიტომ, იმის დასადგენად, თუ როდის მოხდა ესა თუ ის შემთხვევა, უმჯობესია გაირკვეს, მოხდა ეს შემთხვევა ბავშვისთვის ცნობილ რომელიმე მოვლენამდე, მის შემდეგ თუ დაახლოებით იმავე დროს.

3 დახურული კითხვები

შეკითხვები, რომლებიც საჭიროებენ პასუხებს ,,დიახ“, ,,არა“. მაგალითად, ,,გიორგი გემუქრებოდა? ის შეგეხო? შენ იწექი? იჯექი თუ იდექი?“ კითხვები, რომლებიც საჭიროებენ პასუხს „კი“ ან ,,არა“ ბავშვმა უნდა ამოირჩიოს თავად.

ბავშვისთვის დახურული კითხვების დასმა გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული. ბავშვების უმეტესობას მზაობა აქვს, რომ აუცილებლად პასუხი გასცეს ამგვარ შეკითხვებზე, მაშინაც კი, როცა პასუხი არ იციან. ამასთან, ბევრი ბავშვი მიდრეკილია დათანხმებისკენ და

„კი“ პასუხების გაცემისკენ. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ დახურულ შეკითხვებზე დადებითი პასუხების შემთხვევაში, მომდევნო შეკითხვა ღია მიმართვის ფორმით იყოს ჩამოყალიბებული: „მითხარი, რა თქვა კაცმა“. ამასთან, ვარიანტებიანი პასუხების კითხვის დასმისას, ბავშვებს მიდრეკილება აქვთ, რომ აირჩიონ პირველი ან ბოლო ვარიანტი.

დახურული კითხვები, მათი ხშირი გამეორების შემთხვევაში, ასევე, შეიძლება ბავშვისთვის ჩამაგონებელი/მიმანიშნებელი იყოს. მაგალითად, თუ ბავშვმა ერთსა და იმავე დახურულ კითხვაზე რამდენჯერმე გასცა დადებითი პასუხი და მას კვლავ უსვამენ ამ კითხვას, ბავშვი მიიჩნევს, რომ ის არასწორად პასუხობს ან მისგან სხვა პასუხს მოელიან და პასუხს შეცვლის.

Ч ჩამაგონებელი / მიმანიშნებელი კითხვები

ამგვარი შეკითხვებისაგან თავი უნდა შეიკავოთ. ჩამაგონებელი/მიმანიშნებელი შეკითხვების გამოყენებისას გამომკითხველი ასახელებს დეტალს, მოვლენას ან ქმედებას, რომელიც ბავშვს არ უხსენებია და მის დადასტურებას ან უარყოფას მოითხოვს, რითაც ზემოქმედებას ახდენს ბავშვზე. მაგალითად, „ის შეგეხო სხეულის რომელიმე ნაწილზე?“ ან „ის სხეულზე შეგეხო, ხომ ასეა?“

ამგვარი შეკითხვებით მიღებული პასუხების სისწორე სერიოზულ ეჭვს იწვევს და ბავშვის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობას მნიშვნელოვნად ამცირებს. ამიტომ, მიზანშეწონილია, რომ ბავშვთან საუბრისას ამგვარი კითხვები არ იქნეს დასმული.

ბავშვთან საუბრისას შეკითხვათა თანამიმდევრობა „ძაბრისებური“ პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული. „ძაბრის“ ფართო ყელი, ანუ ინტერვიუს დასაწყისი, უნდა მოიცავდეს რაც შეიძლება მეტ ღია და დამაზუსტებელ მიმართვებს. მხოლოდ მათი ამოწურვის შემდეგ არის შესაძლებელი შეკითხვების სხვა ტიპებზე გადასვლა.

ინტერვიუ წარმატებული იქნება მაშინ, როდესაც ინფორმაციის უმეტესი ნაწილი მოდის ბავშვისგან და არა ინტერვიუერისგან. ბავშვისგან ინფორმაციის მიღება ხდება სწორედ ღია მიმართვებით და დამაზუსტებელი კითხვებით. ხოლო როცა, ინტერვიუერი თანდათანობით გადადის პირდაპირ, დახურულ და პასუხების ვარიანტებიან კითხვებზე, მის მიერ გადმოცემული ინფორმაცია სჭარბობს ბავშვის მიერ მოწოდებულს.

ინტერვიუს დასრულება:

ინტერვიუს არსებითი ნაწილის დამთავრების შემდეგ, ბავშვს საშუალება მიეცით:

- დასვას კითხვები, რომლებიც მას შეიძლება ჰქონდეს;
- გაამჟღავნოს, თუკი რაიმეს თქმა სურს.

შემდეგ ბავშვს მადლობა გადაუხადეთ ინფორმაციის მოწოდებისთვის, დახმარებისთვის და თანამშრომლობისათვის. შეგიძლიათ გადასცეთ მას თქვენი სავიზიტო ბარათი და შესთავაზოთ, რომ დაგირეკოთ, თუკი რაიმეს თქმა/შეხვედრა მოუნდება. საჭიროების შემთხვევაში, შეუთანხმდით მომდევნო შეხვედრის შესახებ. ეს საუკეთესო გზაა ბავშვის დასარწმუნებლად იმაში, რომ მასზე ზრუნავენ და არ არიან გულგრილნი მისი შემდგომი ცხოვრების მიმართ.

ინტერვიუ ნეიტრალურ თემებზე საუბრით და პოზიტიურ ნოტზე დაასრულეთ .

გასათვალისწინებელია ურთიერთობის მნიშვნელოვანი წესები:

ხუთი "არა" ბავშვთან საუბრისას:

1. არ შეშინდეთ, არ აჩვენოთ, რომ თქვენ შოკირებული ხართ, რასაც უნდა ამბობდეს ბავშვი ან მშობელი;
2. ნუ გააუფასურებთ მის ტკივილს (ისეთი ფრაზები, როგორიცაა ,,ამაზე არ უნდა აღელდე", მხოლოდ იმას აჩვენებს, რომ თქვენ მისი არ გესმით);
3. ნუ შეეცდებით მის გამხიარულებას, ადამიანს ,,სტკივა";
4. არ უსაყვედუროთ ბავშვს იმის გამო, რომ აქამდე არავის უამბო ამის შესახებ და არაფერი გააკეთა მის აღსაკვეთად;
5. არ შეჰპირდეთ, რომ საიდუმლოდ შეინახავთ მონათხრობს (თქვენ შეგიძლიათ შეჰპირდეთ პრობლემის შინაარსის საიდუმლოდ შენახვას, მაგრამ არა ძალადობის ფაქტისა).

ხუთი "დიახ" ბავშვთან საუბრისას:

1. შეინარჩუნეთ სიმშვიდე;
2. აგრძნობინეთ და უთხარით, რომ გესმით მისი;
3. უთხარით, რომ გჯერათ მისი;
4. დაარწმუნეთ, რომ არ თვლით მას მომხდარში დამნაშავედ;
5. უთხარით, რომ ის მარტო არ არის და თქვენ ყველაფერს გააკეთებთ იმისათვის, რომ ძალადობა აღარ განმეორდეს.

ბავშვის მოტივაციის გაზრდით და გასაუბრების მეთოდების ბავშვის განვითარების დონისადმი მორგებით იზრდება ბავშვის მიერ მოწოდებული ინფორმაციის რაოდენობაც და სიზუსტეც. სწორად ჩატარებული ინტერვიუ მნიშვნელოვანია თავად ბავშვისთვისაც.

7. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მწვავედ დგას მიუსაფარი ბავშვების საკითხი. ამ პრობლემამ ქვეყანაში 90-იანი წლებიდან იჩინა თავი, როდესაც მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების შედეგად უამრავი ბავშვი აღმოჩნდა სათანადო ყურადღების მიღმა. სამწუხაროდ, საკითხი დღემდე არ კარგავს აქტუალობას და ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარების, ოჯახური კონფლიქტების, ძალადობისა თუ სხვა პრობლემების გამო, უამრავი ბავშვი რჩება ქუჩაში. ქუჩაში ცხოვრება უაღრესად მძიმედ მოქმედებს ბავშვებზე. არასტაბილური ცხოვრების წესის, ასაკისთვის შეუფერებელი ცხოვრებისეული გამოცდილების, არაადეკვატური საცხოვრებელი პირობების და სხვა მრავალ მიზეზთა გამო, მიუსაფარი ბავშვები არასრულწლოვანთა ტრეფიკინგისა და ექსპლუატაციის ძირითად რისკ-ჯგუფს წარმოადგენენ.

არაერთი კვლევით არის დადასტურებული, რომ ძირითადი ფაქტორები, რომელთა გამოც ბავშვები ქუჩაში ხვდებიან შემდეგია:

- მშობელთა სიღარიბე მათ დასახმარებლად ბავშვების ჩართვა სხვადასხვა აქტივობაში, რაც ბავშვთა შრომას იწვევს;
- უსახლკარობა;
- მშობლების იძულებითი მიგრაცია და, აქედან გამომდინარე, ცხოვრების გამოწვევები საარსებო საშუალებების მოპოვებასთან დაკავშირებით;
- ოჯახის შემადგენლობის ცვლილება, მაგალითად, განქორწინება ან მშობლის ხელახალი ქორწინება;
- მშობლის გარდაცვალება, დაპატიმრება, ავადმყოფობა და/ან მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება, რაც მშობლის მიერ ბავშვის მიტოვებას ან უგულებელყოფას იწვევს და ამიტომ, ბავშვის მხრიდან საკუთარ თავზე ზრუნვის საჭიროება დგება;
- საცხოვრებლის შეცვლა;
- სკოლის შეცვლა;
- სამეგობრო წრე, სამეგობრო წრეში თვითდამკვიდრების მცდელობა;
- ბავშვის დაცვის შიდა საზოგადოებრივი მექანიზმების არ არსებობა;
- სოციალური დაცვის არასაკმარისი პროგრამები;
- მიუსაფარ ბავშვთა ოჯახების სოციალური იზოლაცია;
- ფულის შოვნის სურვილი (საკუთარი ნებით, ოჯახის დასახმარებლად ან იძულებით, ასევე სხვა პირის იძულებით);
- თამაშზე დამოკიდებულება;
- მშობლების მოლოდინი და წნეხი (განსაკუთრებით შეძლებულ ოჯახებში - „ჩემზე იმედებს ამყარებენ, მე კი ვერ ვასრულებ მოლოდინს“);

- ოჯახში ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა, რის გამოც ბავშვი სახლის გარეთ ცხოვრებას ამჯობინებს;
- მკაცრი დისციპლინა – ე.ი. ბავშვის სოციალური ქსელების კატეგორიული შეზღუდვა და ზედმეტად მკაცრი წესები – სარეაბილიტაციო ან მომსახურების დაწესებულებებში, მინდობით აღმზრდელ ოჯახში ან არასრულწლოვანთა დახურულ სკოლებში, რის გამოც ბავშვებს და მოზარდებს წესების დამორჩილებას ქუჩაში ცხოვრება ურჩევნიათ და მზრუნველობის დაწესებულებებიდან არაერთგზის იპარებიან;
- სოციალიზაცია ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის, რის შედეგადაც ბავშვები (თანდათანობით) სულ უფრო ნაკლებ დროს ატარებენ სახლში და სულ უფრო მეტ დროს უთმობენ ქუჩაში მყოფ სხვა ბავშვებთან ურთიერთობას.

ზემოთ ჩამოთვლილი არახელსაყრელი გარემოებებისგან თავის დასაღწევად ბავშვები ცდილობენ ოჯახს გარეთ, დამოუკიდებლად გაიკვლიონ გზა და დაფუძნდნენ. ქუჩაში მოპოვებულ თანხას საკუთარი ან მეგობრების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ხარჯავენ. ქუჩაში მცხოვრები უამრავი ბავშვი და მოზარდი თვლის, რომ შემოსავლის გამომუშავებით ოჯახს ეხმარება. ხშირია შემთხვევა, ბავშვების იძულებისა ქუჩაში გამოიმუშაონ თანხა და ოჯახში მიიტანონ ან გამომუშავებული თანხის მიტანა უწევდეთ მესამე პირთან.

ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ფაქტორი განაპირობებს ბავშვის ქუჩაში გასვლას. მაგალითად, ქუჩაში ბავშვის გასვლის ერთ-ერთი ფაქტორი სიღარიბეა, მაგრამ საქართველოში ოჯახების უმრავლესობა უკიდურეს ეკონომიკურ პირობებშიც კი ახერხებს ბავშვების სახლში შენარჩუნებას, თუმცა სიღარიბემ შეიძლება უკვე ისედაც დაუცველ ოჯახში არსებული სტრესი გააღრმავოს და პრიორიტეტების შეცვლა გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში ბავშვის კეთილდღეობა ყურადღების მიღმა რჩება ხოლმე.

თუ ერთი მხრივ, მიგრაციას შეუძლია დადებითი გავლენა მოახდინოს ბავშვის განვითარებაზე, განათლებაზე, ჯანმრთელობასა თუ სოციალურ კეთილდღეობაზე, მეორე მხრივ, ადგილის შეცვლა ხშირად მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს არასრულწლოვანს, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც ბავშვების მიგრაცია შესაბამისი დოკუმენტაციის და/ან ოჯახის გარეშე ხდება; ბავშვების უფლებების დაცვა განსაკუთრებით რთულდება იმ ქვეყანაში მიგრაციის დროს, სადაც არ არსებობს ბავშვთა სოციალური, საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის სერვისები. ასეთ სიტუაციებში მიგრანტი ბავშვი ექსპლუატაციისა და ბავშვთა შრომის განსაკუთრებულად მაღალი რისკის ქვეშ დგება. იზრდება შანსი, რომ არასრულწლოვანი ტრეფიკინგში ჩართონ ან მძიმე სასოფლო/საოჯახო სამუშაო დააკისრონ.

ზემოაღნიშნულ ფაქტორებთან ინტენსიური პრევენციული მუშაობა შეამცირებს არასრულწლოვნების ქუჩაში მოხვედრისა და მათი ტრეფიკინგის და ექსპლუატაციის რისკებს.

საქართველოში ბავშვთა ტრეფიკინგისა და ექსპლუატაციის გამომწვევი მიზეზების, არსებული სიტუაციის შესახებ ჩატარებული კვლევებიდან ყურადსაღებია **გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2018 წელს ჩატარებული კვლევა „ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები საქართველოში“.**

2017 წლის დასაწყისში Fafo-ს სამეცნიერო-კვლევითმა ფონდმა, გაეროს ბავშვთა ფონდის დაკვეთით, მონაწილეობა მიიღო კვლევაში საქართველოს და აზერბაიჯანის ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების შესახებ. აღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, აზერბაიჯანში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობის და არასამათავრობო ორგანიზაციების („ვორლდ ვიჟენ საქართველო“, ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“ და „საქართველოს კარიტასი“) თანამშრომლობით განხორციელდა.

კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების პოპულაცია ძალიან მრავალფეროვანია. ქუჩაში ცხოვრების წესისა და ბავშვების მახასიათებლების მრავალფეროვნების მიუხედავად, მათ გარკვეული მსგავსი კანონზომიერებები ახასიათებთ. ბავშვების წინაშე არსებულ გამოწვევებზე რეაგირების შეფასება ამ კანონზომიერებების შესაბამისად უნდა მოხდეს. შედეგები შეიძლება შემდეგნაირად შევაჯამოთ:

საქართველოში ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების პოპულაცია შეიძლება ქვეკატეგორიებად დავყოთ იმის მიხედვით, ახლავთ თუ არა მათ მშობელი და აქვთ თუ არა მშობელთან კონტაქტი.

უსახლკარო (ქუჩაში მცხოვრები) ბავშვები და მოზარდები - მოზარდები/ბავშვები, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ და მუშაობენ, ქუჩაში ყოფნისას არ ახლავთ მშობელი და არ არიან მშობლის დაცვისა და მზრუნველობის ქვეშ. ასეთ ბავშვებს შეიძლება ზოგჯერ კონტაქტიც ჰქონდეთ მშობლებთან.

ბავშვები, რომლებიც ქუჩაში მშობლების გარეშე არიან, მაგრამ დასაძინებლად სახლში მიდიან - ბავშვები, რომლებიც დღის უდიდეს ნაწილს ქუჩაში ატარებენ - ისინი მუშაობენ ან სხვა სახის ეკონომიკური აქტივობით არიან დაკავებულნი, არიან მშობლის თანხლების გარეშე, მაგრამ მშობლები რეგულარულად უზრუნველყოფენ მათ საკვებით და/ან რესურსებით, ხოლო ბავშვებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ოჯახის შემოსავალში.

ქუჩაში მომუშავე მობილური ოჯახების ბავშვები - ბავშვები, რომლებიც ქუჩაში მომუშავე უფროსის თანხლებით არიან, ქუჩაში მუშაობენ, მაგრამ იქ არ სძინავთ.

უსახლკარო ოჯახების ბავშვები - უსახლკარო ოჯახების ბავშვების სიტუაცია ქუჩაში მომუშავე მობილური ოჯახების ბავშვების სიტუაციის მსგავსია, მაგრამ ისინი ღამით სახლში არ ბრუნდებიან.

კვლევამ აჩვენა, რომ ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების პოპულაცია მრავალფეროვანია ლინგვისტური და ეთნიკური თვალსაზრისით. საქართველოში ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების ჯგუფში ყველაზე მეტად ჭარბობენ ეთნიკური ქართველები, ბოშები და აზერბაიჯანელი ქურთები. ზოგიერთ წრეში ფართოდ არის გავრცელებული ბოშების სტიგმატიზაცია. სტიგმა კიდევ უფრო დიდია აზერბაიჯანელი ქურთების მიმართ, რაც ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია, რომ ეს უკანასკნელნი სოციალურ მომსახურებებს ვერ იღებენ.

მშობელთა თანხლებით და მათ გარეშე ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების ჯგუფები ერთმანეთისგან ეთნიკური შემადგენლობითაც განსხვავდებიან, თუმცა ყველაფერს მხოლოდ ეთნიკური სპეციფიკით ვერ ავხსნით. სხვადასხვა კატეგორიას შორის არსებული განსხვავებები გარკვეულწილად ეთნიკურ განსხვავებებს ასახავს. ჯგუფში „ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვები“ ყველა ეროვნების ბავშვებს ვხვდებით.

ჯგუფში „ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვები“ ასევე ყველა წარმომავლობის ბავშვები შედიან და ბევრმა მათგანმა განაცხადა, რომ ეროვნებით ქართველია.

ამავე დროს, „ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების“ დიდ უმრავლესობას ბოშები (რომლებიც, წარმოშობით მოლდოველები არიან) და აზერბაიჯანელი ქურთები შეადგენენ. ამ ბავშვებს შორის არიან როგორც ბიჭები, ასევე გოგონები. იგივე შეიძლება ითქვას უსახლკარო ოჯახებზეც. მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების პოპულაციას გარკვეული ეთნიკური მახასიათებლები აქვს, მიუსაფარი ბავშვების ფენომენი მხოლოდ კულტურულ ფენომენად ან მენტალიტეტთან დაკავშირებულ საკითხად არ უნდა ჩავთვალოთ. ასაკის მატებასთან ერთად ზოგი ბავშვი „უფროსის თანხლებით მყოფი მიუსაფარი ბავშვების“ ჯგუფიდან „უფროსის გარეშე მყოფი მიუსაფარი ბავშვების“ ჯგუფში გადადის. უფროსი ასაკის ბავშვები ქცევის განსაკუთრებულ კოდექსს იმუშავებენ და შიდა ურთიერთდამოკიდებულების კავშირებს ქმნიან, რის გამოც ბავშვმა შეიძლება ქუჩას თავი ვეღარ დააღწიოს და კრიმინალურ ან ძალადობრივ საქმიანობაში ჩაებას.

ბავშვები შეიძლება ჯგუფად შეიკრიბონ და ერთად იმოძრაონ იმისთვის, რომ ერთმანეთი დაიცვან, ღამის გასათევი ადგილი იპოვონ, დასვენებისა და გართობის სივრცეები შეიქმნან, მეგობრული ურთიერთობები დაამყარონ და ითანამშრომლონ ეკონომიკურ აქტივობებში, მაგალითად, წვრილმან ვაჭრობასა და ქუჩაში მათხოვრობაში, ასევე წვრილმან დანაშაულში.

ჯგუფის შიდა სტრუქტურა ხშირად ისეთია, რომ ბავშვებს ერთმანეთის ან გარეშე პირების მიმართ ვალები უგროვდებათ, რის გამოც ისინი დიდი ხნის მანძილზე ქუჩას თავს ვერ აღწევენ. მომსახურების პროგრამაში ბავშვის ჩართვის შემდეგ, მისი ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის მიერ დაგროვებული ვალიც.

ბავშვთა ზოგიერთ ჯგუფს ისეთი შიდა სტრუქტურა აქვს, რომელიც ბავშვებს ხელმძღვანელის / უპირატესი სტატუსის მქონე და დაქვემდებარებულ ბავშვებად ყოფს. ერთმანეთის დაცვის და დახმარების პროცესში ბავშვები სუბორდინაციულ სტრუქტურებს ქმნიან და დაქვემდებარებულ ბავშვებს „ფარად “იყენებენ - დანაშაულის ჩადენას აიძულებენ და ამ გზით მიღებულ შემოსავალს ართმევენ. ხშირად ეს საქმიანობა ისეა ორგანიზებული, რომ დანაშაულს უმცროსი ასაკის ბავშვები ჩადიან, ხოლო უფროსი ბავშვები სადარაჯოზე დგანან და უმცროსებს მათთვის ნაძარცვი მოაქვთ. ასეთი პრაქტიკა იმ გარემოებას უკავშირდება, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, 14 წლამდე ასაკის ბავშვთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ გამოიყენება. შესაბამისად, უფროსი ბავშვები დანაშაულებრივი ქმედებებისთვის უმცროს ბავშვებს იყენებენ სისხლისსამართლებრივი დევნის თავიდან აცილების მიზნით.

მიუსაფარი ბავშვების ჯგუფების შიდა დინამიკისთვის შეიძლება დამახასიათებელი იყოს სექსუალური ნიშნით დაჯილდოების სისტემა, რაც გოგონებს ძალადობის რისკის წინაშე აყენებს.

2019 წლის მარტიდან მაისამდე **მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) ჩაატარა „საქართველოში ბავშვთა ექსპლოატაციის შემთხვევების კვლევა“.** კვლევის მიზანი იყო ბავშვთა ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობების განვითარება, მათ და სოციალურ მუშაკებთან თანამშრომლობის გაძლიერება ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვებისა და სხვა მოწყვლადი მცირეწლოვნების დასაცავად და ამასთანავე, სისხლის სამართლის დანაშაულების გამოძიების გასაუმჯობესებლად.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში საქართველოში იდენტიფიცირდა ბავშვთა ექსპლუატაციის შემდეგი სახეები:

ბავშვების მათხოვრობა

წინამდებარე კვლევისას გამოკითხული ყველა დაინტერესებული მხარე დარწმუნებულია იმაში, რომ ყოველდღიურად, მრავალი საათის განმავლობაში ქუჩაში მოწყალების მთხოვნელი ბავშვების დიდი უმრავლესობა წარმოადგენს ექსპლოატაციის მსხვერპლს. არასამთავრობო ორგანიზაციების თავშესაფრებში ცხოვრობენ ბავშვები, რომლებიც ადრე მათხოვრობდნენ და, მათი თქმით, ბავშვების უმრავლესობა განიცდიდა უყურადღებობას ან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას მშობლების ან „მზრუნველების“ მხრიდან, როცა ისინი ვერ ახერხებდნენ საკმარისი ოდენობის თანხის გამომუშავებას.

არასრულწლოვანთა შრომითი ექსპლოატაცია

კვლევისას გამოვლენილ იქნა საქართველოში ბავშვთა დასაქმებისა და შრომითი ექსპლოატაციის შემთხვევები, რომლებიც შემდეგი სახით დაჯგუფდა:

- შინა მოსამსახურეობა - მშობლების მხრიდან შვილების იძულებითი ჩაბმა და-ძმებზე ზრუნვაში, როდესაც მრავალშვილიანი მშობლები მოელიან ან/და ავალდებულებენ უფროს შვილს ან შვილებს, იზრუნონ პატარა და-ძმებზე, როდესაც ისინი საკუთარ საქმეებზე გადიან.
- ჯართის შემგროვებლობა - ბავშვთა შრომის კიდევ ერთ ნაკლებად ცნობილ ფორმას წარმოადგენს მათი ჩართვა ჯართის შეგროვებაში. პირველადი ინტერვიუებით უცნობია ბავშვთა შრომის აღნიშნული ფორმა წარმოადგენს საოჯახო ბიზნესს თუ ჯართით მოვაჭრეები ახდენენ ბავშვების დაქირავებას თავიანთ არაფორმალურ საქმიანობაში ჩასაბმელად.
- შრომითი მიგრაცია თურქეთში - თურქეთში სეზონური შრომითი მიგრაცია კიდეც ერთ გავრცელებულ ფენომენს წარმოადგენს საქართველოში, განსაკუთრებით კი თურქეთის მოსაზღვრე აჭარის რეგიონში, ასევე, გურიასა და მის მახლობელ რეგიონებში. ზოგიერთი ოჯახისათვის თურქეთში რეგულარულად გამგზავრება და იქ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართვა წარმოადგენს მათი წლიური შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს.
- გარე ვაჭრობა - ფულის გამომუშავების პოპულარულ მეთოდს წარმოადგენს ბავშვების ჩართვა გარე ვაჭრობაში, კერძოდ ისეთი მცირე ნივთების გაყიდვაში, როგორიცაა საეკლესიო სანთლები, ხატები, ხელსახოცები, ასევე ცივი სასმელები და სიმინდი. ზაფხულობით ხშირად შეხვდებით ზღვის სანაპიროზე მოხეტიალე ბავშვებს, რომლებიც თავიანთ პროდუქტებს ტურისტებზე ჰყიდიან.

მნიშვნელოვანი იყო 2017 წელს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამის „ ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვთა იდენტიფიცირებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის“ ფარგლებში ჩატარებული კვლევა, რომელმაც გამოკვეთა ბავშვების განთავსების ახალი ლოკაციები და მახასიათებლები.

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები განიხილებიან როგორც ყველა სახის ძალადობის, ასევე ტრეფიკინგისა და ექსპლუატაციის მიმართ ერთ-ერთ მოწყვლად ჯგუფად. შესაბამისად, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განხორციელებაში, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს მიუსაფარი ბავშვების პრობლემის აღმოფხვრას.

შესაბამისად, ტრეფიკინგის გამომწვევ ფაქტორებზე სასაუბროდ, თავდაპირველად, საჭიროა განვიხილოთ ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის - მიუსაფარი (ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე) ბავშვების ქუჩაში მოხვედრის ძირითადი მიზეზები, რომელთაგან აუცილებლად უნდა გამოვყოთ ეკონომიკური და ოჯახური გარემოებები. შესაძლოა ბავშვები იზრდებიან მშობლებთან ერთად, მაგრამ საფრთხის შემცველ გარემოში, არ მიუწვდებათ ხელი არსებულ მომსახურებზე, მათი უფლებები დარღვეულია, ისინი ხდებიან ტრეფიკინგის და ექსპლუატაციის სამიზნე. მშობელთა სიღარიბე, უსახლკარობა, საცხოვრებლის ან/და სკოლის შეცვლა, მშობლების იძულებითი მიგრაცია, ოჯახში ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა, არის ის არასრული ჩამონათვალი იმ გარემოებებისა, რომელთა აღწერის დროს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ფენომენს ვაანალიზებთ.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ არ გამოვიყენოთ ტერმინი „ქუჩის ბავშვები“, რომელიც დისკრიმინაციულია. „სოციალური დახმარების შესახებ კანონი“ განმარტავს :

მიუსაფარი ბავშვი – ქუჩაში მცხოვრები არასრულწლოვანი ან/და ქუჩაში მომუშავე არასრულწლოვანი, რომელიც ასეთად იდენტიფიცირებულია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის მიერ, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად.

8. მიუსაფარ ბავშვებთან მომუშავე მობილური ჯგუფი



2013 წლიდან ევროკავშირისა და გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით საქართველოში დაიწყო პროექტი „მოწყვლადი ბავშვებისათვის, განსაკუთრებით ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვებისთვის, მომსახურებების სისტემის ჩამოყალიბება“. პროექტის მიზანი იყო ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ჰარმონიური განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის თემზე დაფუძნებული სისტემის განვითარება. შეიქმნა სამი ტიპის მომსახურება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ეტაპობრივი ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციისათვის. ეს მომსახურებებია: მობილური ჯგუფები, დღის ცენტრები და 24 საათიანი ტრანზიციული მომსახურება. მომსახურებების შექმნისა და განვითარების შემდეგ აღნიშნული საკითხი უნდა გამხდარიყო სახელმწიფოსთვის ბავშვზე ზრუნვისა და კეთილდღეობის საკითხებიდან ერთ-ერთი პრიორიტეტული და მომხდარიყო მისი სახელმწიფო პროგრამით დაფინანსება.

2014 წლიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტომ“ სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის ყოველწლიური სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაიწყო მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა. ამ ქვეპროგრამის ფარგლებში, თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში შეიქმნა მობილური ჯგუფები, დღის ცენტრები და სადღეღამისო თავშესაფრები. ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, აღნიშნულ მომსახურებებში ხორციელდება სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება, აკადემიური საჭიროებების გამოვლენა და მათი ფორმალურ საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ხელშეწყობა, კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვის უზრუნველყოფა და ა.შ.

მიუსაფარი ბავშვების იდენტიფიცირებისა და მათი სხვადასხვა მომსახურებებში ჩართვის მიზნით, ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირება დაიწყო მობილურმა ჯგუფებმა, რომლებიც ცდილობენ ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების ნდობის მოპოვებასა და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას.

მობილური ჯგუფი მუშაობს უშუალოდ ქუჩებში, რათა დაამყაროს ურთიერთობა ბავშვებთან და მათ ოჯახებთან, მოიპოვოს ბავშვებისა და ახალგაზრდების ნდობა და უზრუნველყოს ბავშვების ჩართულობა ბავშვთა დაცვის სხვადასხვა მომსახურებებში მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის

მობილური ჯგუფის მიზანია ბავშვების მოძიება ქუჩებში, მათი ნდობის მოპოვება და მათთან ურთიერთობის დამყარება; ბავშვებისა და, შესაძლებისდაგვარად, მათი ოჯახების შეფასება, ბავშვებთან მუშაობა ქუჩის პირობებში (პირველადი დახმარება ფსიქოლოგიური თუ სამედიცინო კუთხით, ჩართვა გასართობ თუ სპორტულ ღონისძიებებში და არაფორმალური განათლება) და მათი დღის ცენტრებში ჩართულობის უზრუნველყოფა.

აქტივობები

მობილური ჯგუფი შედგება 4 წევრისაგან:

1. სოციალური მუშაკი;
2. ფსიქოლოგი/პედაგოგი;
3. მძღოლი/ადმინისტრაციის მუშაკი;
4. თანასწორგანმანათლებელი.

სოციალური მუშაკების გარდა ჯგუფის სხვა წევრები იმ არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლები არიან, რომელთა დღის ცენტრშიც განთავსებულია ჯგუფის სამუშაო ბაზა. მობილური ჯგუფის მუშაობა მჭიდრო კავშირშია პროგრამის ფარგლებში განვითარებული დღის ცენტრების მომსახურებასთან.

მობილური ჯგუფი ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

- ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვების აქტიური მოძიება ქუჩაში; აღსანიშნავია, რომ ეს ძიება არის მკაფიოდ დაგეგმილი, წინასწარ გაკეთებულია რუკები, სადაც ბავშვების მუშაობის შესაძლო ადგილებია განსაზღვრული;
- ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვების ჩაბმა დიალოგში, მათთან ურთიერთობის დასამყარებლად და ნდობის მოსაპოვებლად;
- ბავშვების შესახებ ინფორმაციის მოძიება და ბავშვების საჭიროებების შეფასება;
- ფსიქოლოგის გასაუბრება ბავშვებთან – ბავშვების გამოცდილების მოსმენა, რჩევების შეთავაზება, ძირითადი რისკების იდენტიფიკაცია და სხვა;
- ბავშვების ცნობიერების ამაღლება და ინფორმაციის მიწოდება სასიცოცხლო უნარ–ჩვევებზე, ჯანმრთელობასა და თვითმოვლის უნარებზე;
- ბავშვების ჩართვა არაფორმალური განათლების აქტივობებში;
- ბავშვების ჩართვა სპორტულ და გასართობ აქტივობებში;
- კონტაქტში შემოსული ბავშვების მშობლებთან, შეძლებისდაგვარად, ურთიერთობის დამყარება და ოჯახების საჭიროებების შეფასება;
- კონტაქტში შემოსული ბავშვების დღის ცენტრის მომსახურებებში ჩართვის უზრუნველყოფა;
- საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრული მექანიზმის შესაბამისად, ურთიერთობის დამყარება სხვა ინსტიტუტებთან, როგორიცაა პოლიცია, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, სკოლა და სხვა;
- რეგულარული თანამშრომლობა სხვა მობილურ ჯგუფებთან ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლისა და საქმიანობის კოორდინაციისათვის.

მობილური ჯგუფის წევრების პასუხისმგებლობა

სოციალური მუშაკი

სოციალური მუშაკი (უფროსი სოციალური მუშაკი) მობილური ჯგუფის ლიდერია. მას ევალება აწარმოოს დღის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პირადი საქმე და აწარმოოს შემთხვევის მონიტორინგი (მასზე დაკვირვება) ბავშვის დღის ცენტრში გადასვლის შემდეგ, გარკვეული დროის განმავლობაში. გარდა ამისა, სოციალურ მუშაკს ასევე ევალება ჯგუფის სხვა წევრების საქმიანობის კოორდინაცია. მობილური ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად სოციალურმა მუშაკმა უნდა მოახდინოს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირება და მომსახურებაში ჩართვისათვის მომზადება. მობილური ჯგუფის სოციალური მუშაკი მიუსაფარი ბავშვის აღმოჩენის შემთხვევაში, არასრულწლოვნის მიუსაფარ ბავშვად იდენტიფიცირების მიზნით, ავსებს შესაბამისი სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ მაძიებლის ანკეტას. მიუსაფარ ბავშვად იდენტიფიცირების შემთხვევაში, სოციალური მუშაკი აწარმოებს იდენტიფიცირებული ბავშვის გადაუდებელი წესით შეფასებას, ადგენს ქუჩასთან კონტაქტის ხარგძლივობას და თავისებურებებს, განათლების სისტემაში ჩართულობას, ჯანმრთელობის მდგომარეობას და სხვა ასპექტებს. შეფასებისას ის თანამშრომლობს მობილური ჯგუფის სხვა წევრებთან. სოციალური მუშაკი, პროექტის სხვა თანამშრომლებთან ერთად აწარმოებს მომსახურებაში ჩართული ბავშვების შესახებ ინფორმაციის მოძრაობის სისტემას, მომსახურებებში ბავშვების აღრიცხვას და ავლენს ბავშვებისათვის მხარდამჭერი გარე მომსახურებების საჭიროებას.

ბავშვის დღის ცენტრში მოზიდვის შემდეგ მობილური ჯგუფის სოციალური მუშაკი, გარკვეული დროის განმავლობაში, აგრძელებს ამ ბავშვის საქმის წარმოებას. როცა მომსახურების თანამშრომლები და სოციალური მუშაკი ჩათვლიან, რომ ბავშვის მდგომარეობა დასტაბილურდა დღის ცენტრში და რეგულარულად სარგებლობს მისი მომსახურებით, მობილური ჯგუფის სოციალური მუშაკი ბავშვის საქმეს სამართავად გადასცემს მომსახურების ან შესაბამისი უბნის სახელმწიფო სოციალურ მუშაკს.

ფსიქოლოგი/პედაგოგი

ფსიქოლოგ/პედაგოგის ამოცანაა დაამყაროს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა ბავშვებთან და მიეხმაროს ჯგუფის სხვა წევრებს ბავშვებთან კონსტრუქციული ურთიერთობის ჩამოყალიბებაში. მისი მოვალეობაა ბავშვების სწრაფი შეფასება მათი განვითარებისა და განათლების დონის მხრივ და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, თუ ასეთი საჭიროება არსებობს. ფსიქოლოგი აწოდებს ბავშვს ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ჯანსაღი ცხოვრების წესი, თამბაქოს მავნე გავლენა, სხვა სასიცოცხლო უნარებთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ახდენს ბავშვის ჩართვას არაფორმალური განათლების, გართობისა და სპორტულ აქტივობებში. ფსიქოლოგი მუშაობს ბავშვთან, ინდივიდუალური ან ჯგუფური აქტივობების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში, შეფასების შედეგების შესაბამისად, ერთვება ბავშვებისათვის წერა–კითხვისა და ანგარიშის სწავლებასა და სხვა საბაზისო უნარების სწავლების პროცესში.

მძღოლი

მძღოლი/ადმინისტრაციის მუშაკი პასუხისმგებელია ჯგუფის წევრების უსაფრთხო გადაადგილებაზე მანქანით. გარდა ამისა, მძღოლი, ჯგუფის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, განსაზღვრავს და ადგენს გადაადგილების გრაფიკს და მარშრუტებს.

თანასწორგანმანათლებელი

ახალგაზრდა, რომლებსაც აქვს ქუჩაში ცხოვრების და/ან მუშაობის გამოცდილება, თუმცა ამჟამად ინტეგრირებულია საზოგადოებაში. თანასწორგანმანათლებლებს

მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ქუჩაში მცხოვრებ და/ან მომუშავე ბავშვებთან ურთიერთობის დამყარებისას. ეს განამტკიცებს ნდობას და საშუალებას აძლევს ბავშვებს ესაუბრონ იმას, ვისაც ყველაზე კარგად ესმის „მათი ენა“, მოისმინონ იმათგან, ვისაც ქუჩაში ცხოვრების გამოცდილება აქვს და მიუხედავად ამისა, მიაღწიეს წარმატებებს.

ყველა სახის ძალადობის უამრავი შემთხვევა დაფარული რჩება იმის გამო, რომ ბავშვს, რომელიც ხშირად ინფორმაციის ერთადერთი წყაროა, არ ეძლევა ნორმალურად დალაპარაკების შესაძლებლობა მათთან, ვისაც მისი დახმარება შეუძლიათ.

მიუსაფარ ბავშვებთან მომუშავე მობილური ჯგუფის მიერ ტრეფიკინგის მსხვერპლი ან სავარაუდო მსხვერპლი ბავშვის იდენტიფიცირების შემთხვევაში, შეტყობინება უნდა გაიგზავნოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. ურთიერთანამშომლობა მოიაზრებს იმ მიდგომებსა და პრინციპებს, რაც გაწერილია 2016 წლის მთავრობის N 437 დადგენილებით „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“.

ბიბლიოგრაფია

1. Guidelines for the identification of victims of trafficking in human beings – Eurpoean commission - ec.europa.eu/home-affairs ec.europa.eu/anti-trafficking/

2. TRAFFICKING IN PERSONS REPORT JUNE 2020 USA DEPARTMENT OF STATE

3. Global Report on Trafficking in Persons 2018 - UNITED NATIONS OFFICE ON DRUGS AND CRIME

4. Ruiz, C. Danijela; Stiplošek D. (2009). The identification of victims of human trafficking in transit and destination countries in Europe - A practical guideline for frontline workers

5. Trafficking in Persons: Victim Identification and Assistance. (2020). International Organization for Migration (IOM)

6. Moossy, R. Sex Trafficking: Identifying Cases and Victims

7. Bhabha, J. Alfirev, C. (2009). United Nations High Commissioner for Refugees. The Identification and Referral of Trafficked Persons to Procedures for Determining International Protection Needs

8. Combating child trafficking – UNICEF (2005)

9. HUMAN TRAFFICKING AND FORCED LABOUR EXPLOITATION Guidelines for Legislation and Law Enforcement - International Labour Organization (2005)

10. Commercial Sexual Exploitation and Trafficking of Children "in a nutshell" A Resource for Pacific Island Countries - International Labour Organization (2015)

11. Child Trafficking in Europe. A Broad Vision to Put Children First - UNICEF

12. საჭიროებათა შეფასება: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)(2016)

13. გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენცია"

14. ევროპის საბჭოს „ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია"

15. სარა მაკრამი და ლოტ ჰოუ - ბავშვისაგან ინტერვიუს აღება (2010)

16. გაეროს ბავშვთა ფონდი - ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები საქართველოში (2020)

17. ბავშვთა ექსპლუატაცია საქართველოში თეორიული ანალიზისა და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების შედეგები - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)(2019)

18. ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ" (ლანზაროტეს კონვენცია)

19. ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი

20. ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ

21. კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ -ILO

22. ევროპის საბჭოს კონვენცია "ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ"

23. საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ"

24. კონვენცია სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ - ILO

25. საქართველოს მთავრობის დადგენილება №284 "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტებისა და წესის დამტკიცების შესახებ